პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 5-48.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩვეულებრივი ნომრის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

ტიურინგიაში კომპარტიას და სოციალ-დემოკრატებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ.

მთელ გერმანიაში სიმშილობის და უმუშევრობის წყალობით ხდება არეულობა.

ჰილფერდინგმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დაჰკარგა ნდობა და ავტორიტეტი მშრომელთა თვალში.

ვარშავაში სიმაგრის აფეთქების დროს მოკლულია 2000 კაცი.

ბულგარეთში თეთრი ტერორის მსხვერპლი შეიქნა 3000 კაცი; დატუსაღებულია 15,000 კაცი.

№ 237 სამშაბათი, 16 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მან. № 237

დღეს, 16 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი **ხაზაშვილი.**

მოსავლის დღესასწაული

ცირკულიარი

კომუნისტური პარტიის და ახალგაზრდობის კომკავშირის ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს.

1) ოქტომბრის შუა რიცხვებში უნდა ჩატარებულ იქნეს „მოსავლის დღის“ დღესასწაული. დღესასწაულის ძირითად მომენტს შეადგენენ:

ა) სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის გამორკვევა ს. ს. რ. კავშირში და ადგილებზე.

ბ) გლეხთა მეურნეობის მოსავლიანობის გაუმჯობესებისათვის, აუცილებელ ზომების ცხოვრებაში გატარების პროპაგანდა.

გ) მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცება მინდვრის სამუშაოს წარმატებით დასრულების დღესასწაულის ნიადაგზე.

2) დღესასწაულის ჩატარების ინიციატივას კისრულობენ ახალგაზრდობის კომკავშირის კომიტეტები და უჯრედები.

ამ დღესასწაულის ჩატარების საქმეში ახალგაზრდობის კომკავშირის ორგანიზაციებს უნდა გაეწიოს სრული დახმარება.

3) საჭიროა დაწვრილებით იქნეს შემუშავებული დღესასწაულის პოლიტიკურ-განმანათლებელი ნაწილი, დღესასწაულის დღისათვის სოფლის უჯრედებს უნდა დაურიგდეს ლიტერატურა სასოფლო მეურნეობის შესახებ, გატარებულ იქნეს ფართო საავიტაციო კამპანია პარტიულ-საბჭოთა პრესაში.

4) დღესასწაულის ჩატარებაში უნდა ჩაბმულ იქნენ კულტურული ძალები, პირველ ყოვლისა აგრონომები, სოფლის სკოლების და ქალაქის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლების მოწაფეები.

საჭიროა დღესასწაული აღინიშნოს ადგილობრივი გლეხთა მეურნეობის მდგომარეობის თვალსაჩინო დემონსტრაციით, მოეწყოს მცირე გამოფენები, მიეცეს საუკეთესო მეურნეობებს მცირე პრემიები.

5) დღესასწაულის გეგმაშეწონილად ჩატარებისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ მოეწყოს ქალაქებში და მაზრებში „დღესასწაულის დღის“ მომწყობი კომისიები, რომლებშიაც შევლენ ახალგაზრდობის კომკავშირის კომიტეტების, პარტკომების, მიწადმოქმედების კომისარიატის ორგანოების, კოოპერაციის, განათლების სახალხო კომისარიატის, განათლების მუშაკთა და მიწა-ტყის კავშირების და წითელი არმიის წარმომადგენლები.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნის მაგიერ **მ. ორახელაშვილი.**

რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნის მოადგილე **ბობრიშევი.**

სრულიად-რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მაგიერ **ა. კლეწიცკი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რეს. სასურსათო სახალხო კომისარი **მირზაჯანსკი.**

ამიერ კავკასიის ცენტრო-სოიუზის თავმჯდომარის მოადგილე **ბალტინი.**

„მოსავლის დღესასწაული“

როგორც ზევით გამოქვეყნებულ ცირკულიარიდან გაიგებს მკითხველი, მიმდინარე თვეში უნდა მოეწყოს „მოსავლის დღესასწაული“.

ეს კამპანია ბევრმხრივაა მნიშვნელოვანი. მოსავლის აკრეფა ჩვენში თითქმის ყველგან დამთავრებულია. გამორკვევა ამ მოსავლის რაოდენობის და ღირსების, საერთოდ კი მთელი ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობის—წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. დღესვე უნდა გავიგოთ ჩვენი გლეხობის უკვე მოწეული მარაგი, მთელი წლის სარჩო, აგრეთვე დანაკლისი ამ სფეროში, ცნობაში მოვიყვანოთ ამა თუ იმ რაიონის მოსავლის სიმცირე, რათა ამის მიხედვით წარმართოს ხელისუფლებამ თავისი მუშაობა და აქედანვე შეუდგეს მოსავლისათვის სათესლე და დამხმარებელ ფონდების შექმნას.

მაგრამ „მოსავლის დღესასწაულის“ მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. მოსავლის გამორკვევასთან ერთად, ამ დღეს ჩვენ უნდა გავწიოთ ფართე პროპაგანდა იმ ღონისძიებათა გასატარებლად ცხოვრებაში, რომელნიც აღორძინებენ სასოფლო მეურნეობას და ხელს შეუწყობენ გლეხის შრომის ნაყოფიერების გაზრდას.

ჩვენი გლეხი გამრჯელია და შრომის მოყვარე. მაგრამ მას აკლია როგორც საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მასალები, აგრეთვე მიწის რაციონალურად დამუშავების და მოვლის ცოდნა, რის გამო მისი შრომა ოდნავადაც ვერ იძლევა სასურველ ნაყოფს; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გლეხი მთელ თავის სიცოცხლეს ჰაპან-წყვეტაში ატარებს, მას მაინც ვერ დაუღწევია თავი გაჭირვებიდან.

საბჭოთა ხელისუფლება სასოფლო-მეურნეობის ასაყვავებლად და გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უდიდეს ენერგიას და საშუალებებს ხარჯავს. რუების გაყვანა, ჭაობიან ადგილების ამოშრობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღის და სათესლე მასალის მიწოდება გლეხობისათვის და მრავალი სხვა ღონისძიება, რომლებსაც ანხორციელებს საბჭოთა ხელისუფლება, აქეთკენაა მიმართული.

თვით გლეხური მასა ცხოვლად უნდა დაინტერესდეს ამ ღონისძიებებით მუშაობით, მან თვითონ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა, შემოქმედებითი აქტივობა. და ეს ასეც ხდება. გლეხობა დიდი ხალისით ეგებება საბჭოთა ხელისუფლების ნაბიჯებს, გადადგმულთ სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად.

ამ მიმართულებით გლეხობის ასამოძრავებლად შემდეგში მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს, კერძოდ ამისთვის უნდა იქნას გამოყენებული „მოსავლის დღესასწაული“.

ამ დღეს უნდა გაიმართოს გლეხებს შორის აგრონომიული ხასიათის საუბრები, ამასთან მოეწყოს რაიონებში, თემებში, სოფლებში სასოფლო-სამეურნეო გამოფენები, სადაც ისინი თვალსაჩინოდ გაეცნობიან სოფლის მეურნეობის დღევანდელ მდგომარეობას, მის მიღწევებს, საშუალებებს საქმის უკეთ დასაყენებლად.

გარდა წმინდა სამეურნეო მნიშვნელობისა განზრახულ დღესასწაულს აქვს საგრძნობი პოლიტიკური მნიშვნელობა.

გლეხობამ წლის განმავლობაში დიდი მუშაობა შეასრულა, მან მოიხადა მოვალეობა როგორც თავის, ისე ქვეყნის წინაშე, თავის მარჯვენით შექმნა წლის სარჩო.

ამ მუშაობის დასრულებისას, საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი პარტია, მუშათა კლასი მიულოცავენ გლეხობას საქმის წარმატებით დამთავრებას.

„მოსავლის დღესასწაულმა“ ხელი უნდა შეუწყოს გლეხობის კავშირის განმტკიცებას მუშათა კლასთან, კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მუშათა კლასი უაღრესად დაინტერესებულია გლეხობის კეთილდღეობაში, მისი შრომის ნაყოფიერებაში, როგორც იმიტომ, რომ ის მისი მოძმეა, აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს საფუძველია პროლეტარიატის გამარჯვების, საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის, ამიტომაც მუშათა კლასი გლეხობასთანაა ჭირსა და ლხინშიც.

„მოსავლის დღესასწაული“ უნდა გახდეს მუშათა კლასის და გლეხობის ერთობის დემონსტრაციის დღედ.

საჭიროა მხოლოდ ეს დღე მოეწყოს რიგიანად. დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ სამისო სამზადისს. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ყველა პარტიული, საბჭოთა და სხვა ძალები.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მოსკოვი 14 ოქტომბერი. ჯანმრთელობის დაცვის დღესასწაულზე, რომელიც გამოფენაზე გაიმართა, ჯანმრთელობის სახ. კომისარმა ამხ. სემაშკომ გლეხების მრავალ შეკითხვებზე განაცხადა, რომ ლენინის ჯანმრთელობა აგვისტოს პირველ რიცხვებიდან საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც მოულოდნელი იყო ექიმებისათვის. საერთო თვითგრძნობა კარგია. ამხ. ლენინი კითხულობს გაზეთებს და აინტერესებს სხვადასხვა საკითხები. რა თქმა უნდა მას ჯერ კიდევ ესაჭიროება მკურნალობა, ვიდრე მუშაობას დაუბრუნდებოდეს.

პოლონეთის პანები ამოძრავდნენ

საბჭოთა კავშირს დასავლეთის საზღვარზე ჰყავს ერთი „მოუსვენარი“ მეზობელთაგანი. ჩვენ ვლაპარაკობთ პანების პოლონეთზე.

თავის თავად ცხადია, ისინი ვერ ურიგდებიან გვერდით საბჭოთა ხელისუფლების, გამარჯვებული მუშათა კლასის არსებობას, ამასთან ატარებენ უდიდეს იმპერიალისტურ ზრახვებს და ლამობენ გაფართოვებას აღმოსავლეთით საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის ხარჯზე.

ისინი მუდამ ილესავენ კბილებს მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ მაგრამ წითელარმიელის ხიშტი, საბჭოთა ხელისუფლების უაღრესი მშვიდობისმოყვარეობა, თვით პოლონეთის შინაური მდგომარეობის მერყეობა, მისი მშრომელ მასების უკმაყოფილება იქ გაბატონებული ჯგუფების შინაური და საგარეო პოლიტიკით, ამასთან არახელსაყრელი საერთაშორისო სიტუაცია აჩერებდნენ პოლონელ ავაზაკების ხელებს, გაშვერილთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა დასახრჩობად.

როგორც ჩანს, პოლონეთის მესვეურები დღეს, საერთაშორისო მდგომარეობის გართულების მოლოდინში, სინჯავენ ნიადაგს, რათა ერთხელ კიდევ სცადონ ბედი.

მკითხველი დღევანდელი დეპეშებიდან გაეცნობა იმ აღმაშფოთებელ ამბებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ დღეებში რუსეთ-პოლონეთის საზღვარზე.

პოლონეთის ჟანდარმების ხელით განკმირულ იქნა საბჭოთა წარმომადგენელი, ამხ. გერცენშტეინი, ვოლინის მოსაზღვრე რაიონის ჯარის სამხედრო კომისარის მოადგილე. მისი „დანაშაულობა“ მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ ის საზღვრის შემოწმების დროს, შეცდომით და შემთხვევით გადასცდა საზღვარს. მან უსიტყვოთ შეასრულა პოლონელ ჟანდარმების მოთხოვნა, ჩამოხტა ცხენიდან და დანებდა მათ მაგრამ, წინააღმდეგ არსებულ წესებისა, ის არ წაიყვანეს პოლონეთის მოსაზღვრე ჯარის შტაბში, საქმის გამოსარკვევად, არამედ სრულიად უიარაღოს აუტეხეს სროლა. დაჭრილი ამხანაგი არ დაანებეს ამ შემთხვევის გამო მოსულ საბჭოთა წარმომადგენელს. ამხ. გერცენშტეინი გადაყვანილ იქნა ქ. შუმსკში და იქ გარდაიცვალა.

მეორე ცნობა ეხება პოლონეთიდან გადმოსულ ბანდიტური ბრბოს თავდასხმას საბჭოთა მატარებელზე, საზღვრიდან 25 ვერსის დაშორებით. ბანდების გადმოსვლა პოლონეთის ტერიტორიიდან, მათ მიერ ძარცვა-გლეჯის წარმოება საბჭოთა მიწა-წყალზე, ტრანსპორტის განადგურება, არევ-დარევის შეტანა და მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა მოსახლეობას შორის, ეს ძველი ამბავია. დღეს ისევ მეორდება ეს ისტორია.

პანების პოლონეთის ასეთი ავაზაკური და აგრესიული აქტები პროვოკაციული ხასიათისაა. ის, უეჭველია, ნაყოფია წინასწარ გამომუშავებულ გეგმისა, რომლის შედგენაში, შესაძლებელია, ურევია საფრანგეთის მთავარი შტაბის ფარული ხელი. პოლონეთი ფიქრობს ასეთი კბენით გამოიწვიოს საბჭოთა ხელისუფლება და ჩაბას ის სისხლისმღვრელ ომში.

პოლონეთის ასეთი ავაზაკური თავდასხმა, ეჭვი არ არის, გამოიწვევს უღრმეს აღშფოთებას მთელ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასაში.

საბჭოთა ხელისუფლება ჩაბმულია აღმშენებლობითი მუშაობაში, მას სურს ყველასთან ნორმალური, მშვიდობიანი დამოკიდებულების დამყარება. ამისათვის ის მაქსიმალურ დათმობებზე წავიდა კერძოდ პოლონეთთან.

მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. საბჭოთა ხელისუფლება ვერ მოითმენს პოლონეთის ასეთ ვერაგულ თავდასხმას. ის პოლონელ პანებს ასეთი თავხედობისთვის მოსთხოვს სასტიკ [illegible]

რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ ომის განზრახვიდან. საბჭოთა ხელისუფლება არ წამოეგება პოლონეთის პროვოკაციულ ანკესზე. მაგრამ ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლება მზად არის ყველა მის განკარგულებაში არსებულ საშუალებებით დაიცვას მშრომელთა სახელმწიფოს ღირსება და საზღვრები. ამ საქმეში მასთანაა მთელი კავშირის მშრომელი მასა.

შრომის ორგანიზაციის საკითხები

არ შეიძლება სიჩუმით შეხვდე საკითხების იმ რიგათ დაყენებას, როგორიც ჩვენ გვჩვევია. ერთბაშად ცას ვეპოტინებით და მიწაზე დახედვა ზედმეტ საქმედ მიგვაჩნია ავიღოთ, მაგალითად, საკითხი შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ამჟამად თითქმის პირველხარისხოვანია და ჩვენი ცდები და იმედები მისკენ არის მიმართული. ყველგან მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და ყველა ცდილობს მის გაჩაღებაში თავისი წვლილი შეიტანოს. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან მეურნეობის და მმართველობის რაციონალიზაცია და მეცნიერულ ნიადაგზე მოწყობა უმთავრესი პირობა არის მის აღორძინებაში და განვითარებაში.

მაგრამ, ჩემი აზრით, ამ საკითხისადმი ჩვენი ახლანდელი მიდგომა წმინდა აკადემიურია და, როგორც ასეთი, ძლიერ დაცილებულია ცხოვრების სინამდვილეს; რომ ეს სიმართლეა, ამას ბევრი მტკიცება არ დასჭირდება.

სად წამოიჭრა პირველად შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხი? ინდუსტრიის ქვეყანაში—ამერიკაში. ტეილორიზმი — ეს ამერიკული მსხვილი მანქანური წარმოების შვილია. ის დაბადა ეკონომიური პირობების აუცილებლობამ, რომელიც უკვე ვეღარ ითმენდა პრიმიტიულ შრომას. (მანქანა ეს სისწრაფის, სისწორის, დროის და ენერგიის ეკონომიის, უცვლელი, ერთგვარი, მიზანშეწონილი და სარგებლიანი მოძრაობის სინტეზია. ადამიანის შრომა, დაკავშირებული მანქანასთან, ამნაირივე უნდა იყოს).

შეიძლებოდა თუ არა ჩვენში აქამდე ამ საკითხის დასმა? შეუძლებელი იყო, სათანადო პირობების უქონლობის გამო. შეიძლება თუ არა ახლა მისი იმგვარათ დასმა, როგორც ამერიკაში და სხვა ინდუსტრ. ქვეყნებშია? შეუძლებელია, ვინაიდან ჩვენი წარმოება კიდევ ნახევრათ პრიმიტიულ შრომაზე არის აგებული. მისი სრული ინდუსტრიალიზაცია თუმცა შორს არ არის, მაგრამ ახლა მის არსებობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

საილიუსტრაციოთ ავიღოთ შემდეგი მაგალითი. შრომის მეცნიერულ დარგში მომუშავე ორგანიზაციები (თუნდაც ტფილისის ეგრეთ წოდებული ცენ. შრომის ინსტიტუტი, პროფკავშ. საბჭოსთან არსებული) ისახავენ თავის მიზნათ მუშაობის პროცესის შესწავლას და შემდეგ ამ პროცესის რაციონალიზაციას — სარგებლიანი მოძრაობის დატოვებას და უნაყოფოს, როგორც ენერგიის ტყუილად დამხარჯველის, განდევნას. საცდელათ და შესასწავლათ, მაგალითად, იღებენ ხშირად დარტყმას (**удар**) ჩაქუჩით ან უროთი*). მათი სურვილია ამ დარტყმის პროცესის შესწავლა და მისი ისე დაყენება, რომ მეტი ნაყოფი გამოიღოს და მუშის ნაკლები ენერგია წავიდეს მასზე.

მაგრამ ფიქრობენ ისინი თუ არა, რომ ადამიანის ძალით ჩაქუჩის ცემა უნდა შეიცვალოს მექანიკურ ჩაქუჩით; რომ ეს შეცვლა უნდა მოხდეს არა ხვალ და ზეგ, არამედ დღესვე; რომ უკვე პრაქტიკულად დაწყებულია მექანიზაციის ცხოვრებაში გატარება არა მარტო საქალაქო წარმოებაში, არამედ სასოფლო მეურნეობაშიც. ვის დასჭირდება მათი ჩაქუჩის ცემის რაციონალიზაცია, რომლის შესწავლას ისინი ანდომებენ არა ერთ და ორ საათს. ჩემი ფიქრით, ის კარგი იქნება, როგორც ძველი შრომის ეკონომიკის ისტორიული მასალა. ასეთი შრომა დასაფასებელია, მაგრამ მისთვის ახლა დრო არ არის.

„ციტისტების“ (უწოდოთ ასე მათ, ვინც შრომის მეცნიერულ ინსტიტუტის გარშემო მუშაობს) შეცდომა იმაში არის, რომ ჩაქუჩი და მისდაგვარი პრიმიტიული იარაღები წარმოუდგენიათ იმ მანქანებათ, რომელზედაც აშენდა ტეილორიზმი და მათ ავიწყდებათ, რომ ჩაქუჩის დარტყმის რაციონალიზაცია კი არ არის ჩვენი მიზანი, არამედ მისი განდევნა (დღესვე), ჩაქუჩის მაგივრათ შემოღებულ მანქანაზე მუშაობის შესწავლა და რაციონალიზაცია კი იქნება საჭირო.

ყალბ საფუძველზე არის დამყარებული ჩვენი „ციტისტების“ მუშაობა. ამ საკითხისადმი მათდაგვარი მიდგომა კარგი იქნებოდა უფრო სამრეწველო ქალაქებში, ვიდრე ტფილისია, მაგალითად მოსკოვში, პეტროგრადში (ევროპასა და ამერიკაზე ზედმეტია ლაპარაკი). იქ შესასწავლი და საცდელი მოიძებნება, აქ კი ძვირად და ისიც ისეთები, რომ უნდა ვეცადოთ ჩქარი მათი შეცვლას და არა რაციონალიზაციას.

ზევით ნათქვამი არ ნიშნავს ჩვენში ამჟამად შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის საკითხის უარყოფას. პირიქით, ის აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის უფრო მეტად, ვიდრე მაღალ ტეხნიკის მქონე ქვეყნისათვის. მაგრამ მას უნდა ჰქონდეს უფრო სხვანაირი ხასიათი, თუ შესაძლებელია ითქვას, უფრო დაბალი (**скромный**). სწორად რომ ვთქვათ, ის იქნება არა შრომის **მეცნიერული** ორგანიზაცია, არამედ **ნახევრად პრიმიტიულ** შრომის **მოწესრიგება** და მოწყობა. არ უნდა შეგვრცხვეს სიტყვა პრიმიტიულის, ის ნამდვილათ გამოხატავს ჩვენი ახლანდელ შრომის ორგანიზაციას. ამ ამოცანის გადაჭრას ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება. უიმისოთ ლაპარაკი მეცნიერულ ორგანიზაციაზე შეუძლებელია. ჯერ მოვაწყოთ როგორც რიგია პრიმიტიული და შემდეგ შევუდგეთ მეცნიერულ საფუძველზე შრომის აგებას. რამდენათ ჩქარა მოვაწესრიგებთ პირველს, იმდენათ მალე შესაძლებელი იქნება მეორეს განხორციელება.

ამჟამად ჩვენში შრომის ორგანიზაციის რაციონალიზაციის ძირითად საკითხად უნდა ჩაითვალოს წარმოების და მმართველობის საქმის იმნაირად მოგვარება, რომ არსებულ ტეხნიკურ და ეკონომიურ პირობებში მან მოგვცეს უფრო მეტი ეფექტი, ვიდრე ახლა ის იძლევა. შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩვენი ნახევრად პრიმიტიულ შრომის ორგანიზაციის საფუძველზე—ეს არის ჩვენი სადღეისო თავსამტვრევი საკითხი. მასზე დამყარებულია სახალხო მეურნეობის აღორძინება, განვითარება და მისი სრული ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება, მოქნილი და მარტივ სახელმწიფო აპარატის შექმნა და სხვა.

ამის განხორციელება კი არც ისე რთულია და ის გამოიხატება სულ უბრალო და ყველასათვის გასაგებ ზომებში, რომელთაც არ შეიძლება დაუძახოთ მეცნიერული (თავისთავის მოტყუება იქნებოდა მის ამ სახელწოდებით მონათვლა). სახელდობრ, ისინი არიან: **სამუშაო დროის სრული გამოყენება, მუშაობის ცოდნა და გამოცდილება და სარგებლიანი მუშაობა.**

მუშაო დროის სრული გამოყენება,— ეს ჩვენთვის ფრიად მწვავე საკითხია. აქამდი მასზე ძლიერ ცოტას ვფიქრობდით. წარმოებებში და დაწესებულებებში სამუშაო დროს მთლიანად არ იყენებენ. ბევრი დრო იკარგება სულ უბრალოთ და უნაყოფოდ; მას არ აფასებენ, ეს კი შრომის ნაყოფიერებას ძირს სწევს. ყოველ წამსა და წუთს მუშაობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. დავამტკიცოთ ეს მაგალითებით.

ავიღოთ საბჭოთა დაწესებულება, სადაც, ვთქვათ, მსახურებს 100 მოხელე დილაზე ათი წუთის დაგვიანება, ან დაგვიანება თუ არა, სამუშაოსთვის გვიან შედგომა,—ეს ყველგან ჩვეულებრივი მოვლენა არის. ზევით მოყვანილ დაწესებულებებში თვითეულ მოხელეზე ათი წუთი საერთოდ დღეში შეადგენს 100×10=1000 წუთს, რაც დაახლოვებით უდრის 16 საათს, თვეში ის ავა 16×24—384 საათამდე, წელიწადში კი 384×12=4608 საათი, რაც შეადგენს მოსამსახურეთა 801 **სამუშაო დღეს** ან 801 მომუშავის ერთი დღის მუშაობას. ამდენს ვკარგავთ ჩვენ ათი წუთის დაგვიანებით. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დღეში თვითეული საბჭოთა მოსამსახურე კარგავს არა მარტო ათ წუთს, არამედ რამოდენიმე საათებს, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა გაძარცვას აქვს ადგილი. ათი წუთით დაგვიანებას,—ეს ჩვენ დაწესებულებებში მხოლოდ საუკეთესოთ საქმის დაყენების დროს აქვს ადგილი გლახათ დაყენებულ დაწესებულებებში (ასეთები კი უმეტესია) იკარგება დაგვიანებაში მთელი ნახევარი საათი, თუ ერთი არა, იკარგება მუშაობის დროს, როცა ბევრი მომუშავე არაფერს არ აკეთებს და მთელი საათობით ზის უსაქმოთ.

ასევე ხდება ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც ხანდახან უბრალო ტეხნიკური დეფექტი, რომელიც თავის დროზე არ იყო გასწორებული, ან მასალის უქონლობა, ან მისი მიღების ცდა და სხვა ამგვარი აჩერებს მუშაობას, რასაც დრო მიაქვს, თუმცა შეუმჩნეველი, მაგრამ საერთოდ მეტად საგრძნობელი. წარმოებაში სამუშაო დროს მთლიანად გამოუყენებლობა აძვირებს ნაწარმოების ფასს. მის შესაქმნელად მიდის უფრო მეტი საათები, ვიდრე საჭიროა.

ამრიგათ სამუშაო დროის სრული გამოყენება, მისი გამჭიდროება (**уплотнение**) ჩვენ შრომის ნაყოფიერებას საგრძნობლათ გაზრდის, ეს კი ნიშნავს სახალხო მეურნეობის პირდაპირ გამდიდრებას, ხარჯების შემოკლებას და სხვა. ჩვენი ცდა და უმთავრესად კი დაწესებულება-წარმოების ხელმძღვანელების, უნდა იქნეს მიმართული ამისაკენ. სამუშაო დრო მთლიანად უნდა იქნეს დატვირთული და გამოყენებული. ერთი წუთიც არ უნდა იქნეს დაკარგული.

საქმის ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ არ კმარა მარტო სამუშაო საათების გამჭიდროება, მისი მთლიანად გამოყენება. საჭიროა კიდევ იმ საქმის ცოდნა, რომელზედაც მომუშავე ზის. თუ მან თავის საქმე რიგიანათ არ იცის, მისი მუშაობისაგან არაფერი არ გამოვა, თუნდაც სამუშაო საათი სრულიად იქნეს გამოყენებული. საქმის არა მცოდნე და გამოუცდელის მუშაობა თავისი მნიშვნელობით უდრის ტყუილად მჯდომს და კიდევ უარესია მასზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი არაფერს არ აფუჭებს და არც არაფერს ახდენს, პირველი თავისი გულმოდგინე, მაგრამ უცოდინარო მუშაობით ბევრს საქმეს აფუჭებს. რამდენათ კარგათ იცნობს მომუშავე თავის საქმეს და გამოცდილია მასში, იმდენათ ნაყოფიერია მისი მუშაობა. იტყვით ეს ახალი ამბავი არ არისო. მართალია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ ძველი ჭეშმარიტების გახსენებისათვის ბევრი თავს არ იტკიებს და პრაქტიკულ მუშაობის დროს მით არ ხელმძღვანელობს.

მოვიყვანოთ მაგალითი ისევ საბჭოთა დაწესებულების მუშაობიდან*). დაწესებულების რეგისტრატორის მოვალეობაში შედის შემოსულ და გასულ ქაღალდების სარეგისტრაციო წიგნში ჩაწერა შინაარსის მოკლე აღნიშვნით. თუმცა ერთი შეხედვით ეს მუშაობა რთული არ არის და საქმის ცოდნას არ მოითხოვს, მაგრამ ნამდვილათ კი აქ საჭიროა ძლიერ კარგათ საქმის ცოდნა და გამოცდილება. გამოუცდელი რეგისტრატორი ერთ ქაღალდის ჩაწერას მოუნდება არა ნაკლებ 5—10 წუთისა, გამოცდილი კი მასთან შედარებით ხუთ ჯერ მეტს ჩასწერს. ეს აიხსნება იმით, რომ პირველი ქაღალდის შინაარსის გაგებას და შეთვისებას უნდება დიდი ხანი, მეორე კი გადახედავს თუ არა ქაღალდს, მან უკვე იცის რაში მდგომარეობს მისი შინაარსი. პირველმა ქაღალდი მთლათ უნდა გადიკითხოს, მეორეს კი მისი წაკითხვა არ სჭირდება. უკანასკნელმა იცის არა მარტო ქაღალდის ჩაწერის პროცედურა, არამედ საერთოდ ყველა იმ დარგის საქმეები, რომელშიაც ის მსახურებს. გასაკვირველი არ არის, რომ მან წაუკითხავად, ქაღალდის ერთი გადახედვით გამოიტანოს ის მოკლე შინაარსი, რომელიც საჭიროა რეგისტრაციის დროს. (კიდევ მეტი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც კმარა).

საერთოდ გამოცდილებას და საქმის ცოდნას მუშაობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ შემთხვევაში შეიძლება რომელიმე წარმოება-დაწესებულების მუშაობა შეასრულოს, [illegible] ეყოფა 200 მომუშავე. ეს დამოკიდებულია მასზე, თუ როგორი ცოდნის და გამოცდილების მომუშავეები არიან აყვანილი. მომუშავეების შერჩევას, საქმის ცოდნის და გამოცდილების მხრივ, უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარმოება-დაწესებულების მეთაურებმა, თუ კი უნდათ საქმის წესიერათ დაყენება. ეს კი ხშირად ასე არ ხდება. ამ საქმეს გაცილებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ეს საჭიროა. ზევით მოყვანილ მაგალითში, რეგისტრატორის დაქირავებას ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა. დაწესებულების ადმინისტრაციის ფიქრით, რეგისტრატორმა საკმარისია იცოდეს წერა-კითხვა და ქაღალდიდან შინაარსის გამოტანა. ამიტომ არის, რომ ტფილისში ერთი დაწესებულებიდან მეორეში ქაღალდის მსვლელობას უნდება 3 და 5 დღე.

გადავიდეთ ბოლო საკითხზე: **სარგებლიანი მუშაობა.** არ კმარა მარტო სამუშაო დროის მთლიანად გამოყენება, ან გამოცდილი მომუშავის საქმეზე დაყენება. ეს მხოლოდ შრომის მოწესრიგების ერთი ნაწილია. საჭიროა კიდევ მუშაობის პროცესის ყველა მხარეების მიზანშეწონილობა და სარგებლიანობა. კონკრეტიულად ეს გამოიხატება მუშაობის პროცესის განმარტოებაში, ზედმეტ, არა საჭირო პროცესების მოსპობაში. წარმოება-დაწესებულების ან თვითეული მომუშავის მუშაობის პროცესი უნდა შესწავლილი და გამოკვლეული იქნეს იმ რიგათ, რომ შესაძლებელი გახდეს დანახვა, თუ რა არის ამ პროცესში ზედმეტი, რა კეთდება ისეთი, რომლის გაუკეთებლობა საერთო საქმეს არ ავნებს და არც ასარგებლებს. ყველაფერი ზედმეტი, ენერგიის უბრალოთ დამხარჯველი, ყველაფერი, რაც ფუნქციონალურ მუშაობას არაფერს არ მატებს, უნდა განდევნილი იქნას. (მაგალითების მოყვანა ამის შესახებ შეიძლებოდა, მაგრამ ვთვლი ზედმეტათ). თვითეული წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი, თუ კი კარგათ დააკვირდება მის ორგანოს მუშაობას, ბევრს აღმოაჩენს ასეთ ზედმეტს და არავისათვის საჭირო მუშაობის მხარეებს. მათი უყურადღებოთ დატოვება,—ეს ნიშნავს ხელმძღვანელის ამ საქმისათვის უვარგისობას.

ამრიგათ, ჩვენი დღევანდელი საზრუნავია: **სამუშაო დროის მთლიანად გამოყენება, მომუშავეთა შერჩევა ცოდნის და გამოცდილების მხრივ და მუშაობის პროცესის მიზანშეწონილად დაყენება.** ესენი არიან ახლანდელი შრომის ორგანიზაციის ძირითადი საკითხები, არა მეცნიერული, უბრალო, მაგრამ ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი. როცა ამას გადავსწყვეტთ, მაშინ შევუდგებით შრომის მეცნიერულად ორგანიზაციას, ჯერჯერობით კი დავკმაყოფილდეთ ამით და მაღლა ხელის პოტიხს თავი დავანებოთ **).

ტომელი.

---

*) მომყავს როგორც შემთხვევითი მაგალითი ციტისტების მუშაობაში.

*) სამწუხაროთ, მაგალითებს წარმოების მუშაობიდან ვერ მოვიყვან ისე თამამათ, როგორც დაწესებულებისას, რომელიც ჩემთვის ზედმიწევნით ნაცნობია.

**) ავტორი გამოსთქვამს სამართლიან აზრს, როდესაც ის მიუთითებს შრომის ორგანიზაციის ელემენტალურ წესის დაცვის აუცილებლობაზე, მაგრამ ის ვარდება საქმისათვის მავნებელ უკიდურესობაში, როდესაც უარყოფს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კითხვის პრაქტიკულათ დასმის საჭიროებას დღესვე.

რედაქცია.

გერმანიის მარკის კატასტროფა

ძველი ჭეშმარიტებაა, რომ ბირჟა წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ბარომეტრს. სახელმწიფო ვალიუტის კურსის აწევა და დაწევა საუკეთესო მაჩვენებელია სახელმწიფოს საერთო ეკონომიური მდგომარეობის.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გერმანული მარკას დაცემა ამ უკანასკნელ დღეებში. უკანასკნელ დროს მარკა საშუალოთ ეცემოდა ყოველდღიურათ 100 მილიონით, დოლარის ღირებულებასთან შეფარდებით. ახალი კოალიციონური მთავრობის შედგენის შემდეგ უეცრად იწყება მარკის თავბრუდამხვევი დაცემა, ასე, მაგალითად: დოლარი ღირდა:

10	ოქტომბერს	—2200 მილ.
11	„	3000 „
12	„	5000 „

ხოლო შავს ბირჟაზე ღირს 7 მილიარდი.

ფულის ნიშნის ასეთი კატასტროფა არ ახსოვს არც ერთ პოლიტიკურ ან ეკონომიურ კრიზისს, არც საფრანგეთის დიდ რევოლიუციას, არც ჩვენი ფულის ნიშნებს გააფთრებულ სამოქალაქო ომის პერიოდში. საბჭოთა ფულის ნიშნები სამხედრო კომუნიზმის პერიოდში, როდესაც ჩვენ უშვებდით ფულის ნიშნებს განუსაზღვრელი რაოდენობით, როდესაც საბჭოთა რუსეთის ყველა შეძლებული კლასები ყოველი ძალ-ღონით ცდილობდენ საბჭოთა ფულის ნიშნების დაცემას, ჩვენ არ გვახსოვს ასეთი დაცემა, როგორიც მოსდის მარკას.

ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანული მარკა არაფერი არ ღირს. ის არ ფარავს სალებავებისა და ქაღალდისათვის საჭირო ხარჯებს. დღევანდელი დეპეშები გადმოგვცემენ, რომ ბერლინის ბაზარზე არ ღებულობენ ქაღალდის მარკას. რით აიხსნება ეს მოვლენა. მთავარი მიზეზი მდგომარეობს იმ პოლიტიკურ კრიზისში, რომელიც შეიქმნა ახალი კოალიციონური მთავრობის შექმნის გამო. ის არ სარგებლობს არავითარი ნდობით და გავლენით სახელმწიფოში. არავის არ [illegible] სიმტკიცე, ხოლო შეძლებული კლასების პერსპექტივა უიმედო და გამოურკვეველია.

პოლიტიკურ მიზეზს გარდა, მარკა ეცემა იმის გამო, რომ გერმანიის ხაზინას დიდი ხანია არავითარი შემოსავალი არ აქვს; უკანასკნელი ფარავს სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოთ 1—2 პროცენტს, ყველა დანარჩენი ხარჯები იფარება ემისიით, ქაღალდის ფულის გამოშვებით. რეიხსბანკი უშვებს ათეულ კვადრილიონებს ბაზარზე და ბუნებრივია მარკის კატასტროფიული დაცემა.

შესძლებს თუ არა კოალიციონური მთავრობა შექმნილ ფინანსიურ კრიზისიდან გამოსვლას? ბურჟუაზია და გერმანიის შეძლებული კლასები არ ფიქრობენ მსხვერპლის გაღებას მათი ქონებიდან, მათ არ შეაქვთ ბურჟუაზიაზე შეწერილი უკანასკნელი გადასახადებიც. სხვა შემოსავალი სახელმწიფოს არ აქვს. შეუძლებელი და წარმოუდგენელია ამ ჟამათ გერმანიისათვის შინაური ან გარეშე სესხი. საერთაშორისო ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა გერმანიის ამ ჟამად კიდევ უფრო მძიმეა. საფრანგეთი, პასიური წინააღმდეგობის შეწყვეტის შემდეგ, დაჟინებით მოითხოვს სარეპარაციო ვალდებულებების სისწორით შესრულებას სეპარატიული შეთანხმების გზით სტინესის სამრეწველო ჯგუფთან. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს გერმანიის მდგომარეობას. ფინანსიური კატასტროფა გერმანიაში უეჭველათ გამოიწვევს კოალიციონური მთავრობის სრულ გაკოტრებას.

არის მხოლოდ ერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. ეს არის მუშათა და გლეხთა რევოლიუცია გერმანიაში. მუშათა კლასის გამარჯვების მეორე დღესვე, როდესაც გერმანიის ბურჟუაზიის ქონება გამოცხადდება სახელმწიფოს საკუთრებათ და გერმანიის მუშათა მთავრობა გახდება კაპიტალისტური გერმანიის მემკვიდრე, მაშინ შეიქმნება პირობები ფინანსიური მდგომარეობის შედარებით გამოსწორებისათვის.

წერილები მოსკოვიდან

პროფკავშირები და სახალხო მეურნეობა

პროფესიონალური კავშირების ამოცანების შეცვლის შემდეგ, უარყოფილ იქნა კავშირების უშუალოთ ჩარევა სახალხო მეურნეობის მართველობის საქმეში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კავშირები სრულიად უნდა ჩამოსცილდენ მეურნეობის ორგანიზაციის და მართველობის საქმეს. წარმოების მოწესრიგების საკითხი კავშირებისთვის ახლაც პირველ ხარისხოვანი ამოცანა არის, რომლის გადაჭრაში მათ მთავარი როლი უნდა ითამაშონ. პროფკავშირებისათვის სახალხო წარმოების აღორძინებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს; ერთი რომ ის, როგორც მუშათა კლასის ორგანიზაცია, პირდაპირ დაინტერესებულია სოციალისტური მეურნეობის ჩქარა შექმნაში და მეორე - მისი აღორძინება და გაძლიერება აუმჯობესებს კავშირის წევრების მატერიალურ მდგომარეობას. სამუშაო ხელფასის რაოდენობის ზრდა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ წარმოების მსვლელობაზე.

ამ მხრივ პროფკავშირების მუშაობა უნდა გაფართოვდეს და განმტკიცდეს და კავშირების ორგანოების დახმარებით მოისპოს ის ავადმყოფობანი, რომელიც სახალხო მეურნეობის ორგანოებში ჯერ-ჯეობით ბლომად არის. ავიღოთ, მაგალითად, მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობა. მიმდინარე წლის დასაწყისში დასახული იყო პრაქტიკულ ამოცანათ ინდუსტრიალური წარმოების პროდუქციის გაიაფება, რათა მოსპობილიყო ის არანორმალური განსხვავება, ვება, რომელიც არსებობდა სოფლის და ქალაქის ნაწარმოებს ფასთა შორის და ხელს უშლიდა სოფლის გლეხობის ქალაქის პროლეტართან მტკიცე კავშირის დამყარებას. ეს საკითხი იდგა კომპ. პარტიის მე-12 ყრილობაზე სადაც გადაწყდა, რომ იქნეს მიღებული ყოველი ზომები ქალაქის ნაწარმოების გაიაფებისათვის. მაგრამ სამწუხაროთ, აგერ უკვე წელიწადი თავდება და ქალაქის ნაწარმოების ფასი არა თუ დაეცა, არამედ უფრო მეტათ გაიზარდა და უფრო მეტათ გაასწრო სოფლის ნაწარმოების ფასებს.

ფასების გადიდების მიზეზით, როგორც გამოირკვა, ყოფილა წარმოების ზედმეტი ხარჯები და არა სამუშაო ქირა. მაგალითად, ამა წლის იანვრიდან სამუშაო ხელფასი საშუალოდ გაზრდილა 21 პროც. მაშინ, როცა საქონლის ფასები 49 პროც. ცალცალკე წარმოებაში ასეთი სურათია: საქსოვ წარმოებაში სამუშაო ქირას მოუმატნია 14 პროც., ფასები კი გაზრდილა 58 პროცენტით; ლითონის წარმოებაში სამუშაო ქირა 45 პროცენტით, ფასები 121 პროცენტით*). თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ, რომ სამუშაო ხელფასის ზრდასთან თანაბრად იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ სამუშაო ქირა. სრულებით არ არის მიზეზი საქონლის ფასების გაზრდისა. ერთად ერთი ბრალი უნდა დავდოთ მხოლოდ ზედმეტ ხარჯებს.

საერთოდ ზედმეტი ხარჯები გამოწვეული არიან წარმოების უწესრიგო დაყენებით, უთადარიგო მართველობით, უთავბოლო და მიზანშეუწონელ ხარჯებით, ცუდი ვაჭრობით, სპეციალური სტავკების უხვად გაცემით, ტრესტებში მოსამსახურეთა სიმრავლით (წარმოებაში ჩაბმულ მუშების რაოდენობასთან შედარებით—ომამდე ყოველ ას მუშაზე საწარმოვო ორგანოებს, ჰყავდათ შვიდი მოსამსახურე, ახლა კი 15, ესე იგი ორჯერ მეტი). და სხვა.

ამას პროფესიონალური კავშირები ვერ დატოვებენ უყურადღებოთ. მათი მოვალეობაა მიიღონ ყოველგვარი ზომები და წარმოება-ვაჭრობის საქმის ცუდათ დაყენებას ებრძოლონ. მათი საშუალებით და დახმარებით უნდა მოსპობილი იქნას ყოველგვარი ზედმეტი ხარჯები, რომელიც ხელს უშლის ნაწარმოების გაიაფებას და მასთან ერთად აფერხებს სამუშაო ხელფასის ზდას.

რასაკვირველია ეს არ ნიშნავს ძველებურათ წარმოების მართველობის საქმეში უშუალოდ ჩარევას. ამით საქმის არევის მეტი არაფერი არ გამოვა. პროფკავშირების დაბალი ორგანოები და წევრები თვალყურს უნდა ადევნებდენ წარმოების მსვლელობას, მის უწესრიგო დაყენებას, მტაცებლობას, ზედმეტ არა მიზანშეწონილ ხარჯების გაწევას და სხვა ამგვარს და ყველაფერი ეს აცნობონ კავშირს, რომელიც სათანადო ორგანოების საშუალებით ეცდება შემჩნეული დეფექტების მოსპობას.

კავშირის ორგანოები, ნამეტურ დაბალი—საქარხნო კომიტეტები, უნდა კარგათ იცნობდენ თავის წარმოებას და აცნობდენ მუშა-მოსამსახურეებთ მის მდგომარეობას. თვითეული მუშა ფხიზლად უნდა იყოს და გვერდი არ უნდა აუაროს ყველაფერ მას, რაც შეაფერხებს წარმოების მსვლელობას და გააძვირებს ნაწარმოებს. მას უნდა ახსოვდეს, რომ მისი კეთილდღეობა დამოკიდებულია მეურნეობის აღორძინებაზე.

ხ. გ.

---

*) ციფრები ამოღებულია სექტემბერში მომხდარ რუსეთის პროფ. კავშირების ცენტრ. საბჭოს პლენუმის სხდომებში გაკეთებულ ამხ. ანდრეევის მოხსენებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

წითელ საქსონიაში: საქსონიის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც შეეხება მუშათა თავდაცვის რაზმების მოწყობას და პროლეტარიატის შეიარაღებას.

ბრძოლა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისთვის: საქსონიის მთავრობა აღიარებულია პროლეტარიატის მთავრობათ; ის აპირებს გადასახადები გადაახდევინოს შეძლებულ კლასებს. ტიურინგიაში მოხდა შეთანხმება კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის მთავრობის შედგენის საკითხში.

შემთანხმებელთა გაკოტრება: სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ჰილფერდინგმა განაცხადა, რომ მისი პარტია გაკოტრდა და ჰკარგავს ყოველივე ნდობას მშრომელთა თვალში.

არეულობა სიმშილობის და უმუშევრობის ნიადაგზე. მთელ გერმანიაში სიმშილობის და უმუშევრობის ნიადაგზე ხდება არეულობა.

წითელ საქსონიაში

საქსონიის მთავრობის დეკლარაცია.

ბერლინი. 13 ოქტომბერი. ცეიგნერის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობა ხთვლის რა თავს პროლეტარიატის მთავრობად განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენს ღარიბ კლასების მიმართ, წინააღმდეგობას გაუწევს მემარჯვენეთა დიქტატურას და შეეცდება შეძლებისდაგვარად, თავიდან აიცილოს სამოქალაქო ომი.

მთავრობა გაწმენდს სახელმწიფო აპარატს კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებისაგან და ისარგებლებს თავის გავლენით საერთო საიმპერიო მთავრობაზე საერთო გერმანიის მასშტაბით ფინანსიურ ნგრევის წინააღმდეგ საბრძოლველად, რეალურ ღირებულებათა ხელში ჩაგდების, წარმოებაზე კონტროლის დაწესების, 8 საათის სამუშაო დღის დაცვის, მუშათა უფლებების დაცვის და უმუშევართათვის სახელმწიფოებრივ დახმარების აღმოჩენის ხაზით.

მთავრობა ილაშქრებს გერმანიის დანაწილების წინააღმდეგ.

საქსონიის კომუნისტები არ დაკმაყოფილდენ დეკლარაციით.

ბერლინი. 13 ოქტომბერი. მუშათა დეპუტაციის მიღების დროს სახალხო მეურნეობის მინისტრმა ჰეკერტმა (კომუნისტმა) განაცხადა, რომ კომპარტიას სრულიადაც არ აკმაყოფილებს მთავრობის დეკლარაცია, რომლის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა ბრძოლა კაბინეტის წევრთა შორის. სოციალ-დემოკრატებმა მაგ. უარი განაცხადეს ეხმარათ დეკლარაციაში ს. ს. რ. კავშირის სახელწოდება. მემარჯვენე სოც.-დემოკრატების მხრივ კიდევ მოსალოდნელია დიდი დაბრკოლებანი, მაგრამ კომპარტია მიახერხებს თავის ღონის ძიებების გატარებას პროლეტარიატის ინტერესების მიხედვით.

„პროლეტარიატის და რესპუბლი- [illegible]

[illegible] სონიის ლანდტაგის გახსნაზე, საქსონიის პრემიერმა ცეიგნერმა გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატებისაგან შემდგარ მთავრობას ეწოდება „პროლეტარიატის და რესპუბლიკის დაცვის მთავრობა“. დეკლარაციის თანახმად, თავის უახლოეს ამოცანათ მთავრობა ისახავს ბრძოლას კაპიტალის ანტიკონსტიტუციონურ დიქტატურის წინააღმდეგ. დეკლარაცია თავდება განცხადებით, რომ საქსონიის მთავრობა ბოლომდე დაიცავს გერმანიის მთლიანობას.

საქსონიის მთავრობა პირველი ნაბიჯია.

ბერლინი. 13 ოქტომბერი. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს საქსონიის შრომის მინისტრმა გრაუპემა განაცხადა, რომ გერმანიის რეაქციის ტაქტიკა დააჩქარებს გერმანიის ახლანდელი კრიზისის უფრო ჩქარა გადაჭრასო. საქსონია მარტო ვერ დაიწყებს ბრძოლას. მიუხედავათ ამისა, **მუშურ-გლეხური მთავრობის შექმნა საქსონიაში პირველი ნაბიჯია მთელი გერმანიაში მუშათა საერთო ბრძოლის მოსამზადებლათ.** დასასრულ გრაუპემ განაცხადა: „თუ საქსონიის მთავრობა მოხერხებულათ გამოიყენებს დროს, მაშინ ცენტრალური მთავრობა ვერ გაბედავს მის წინააღმდეგ გალაშქრებას, რადგან ეს მთელ გერმანიაში აღშფოთებას გამოიწვევს.

საქსონიის წითელ ლანდტაგის პირველი სხდომა.

დრეზდენი. 12 ოქტომბერი. საქსონიის ლანდტაგის პირველ სხდომაზე ცეიგნერმა გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია. **ბურჟუაზიულმა ფრაქციებმა წინადადება შეიტანეს მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.** წინადადებას კენჭს უყრიან სამშაბათს.

პარლამენტის შენობის წინ შეგროვდა აურაცხელი ხალხი, მაგრამ ექსცესები არ ყოფილა.

საუბარი საქსონიის მთავრობის მეთაურთან.

მდგომარეობა საქსონიაში.

ბერლინი 13 ოქტომბერი. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბარში ცეიგნერმა განაცხადა, რომ საქსონიის ახალი მთავრობა შეინარჩუნებს დემოკრატიულ მ-რთვა გამგეობის წესს, რადგან საქსონია დამოკიდებულია უცხოეთის მრეწველობაზე. სახელმწიფო აპარატის გაწმენდა ავტომატიურათ მოხდება, რადგან [illegible] ტიის ოპოზიციისა, მ-ხელ-დემოკრატები განაგრძობენ სამსახურს სოციალისტურ მთავრობაში. პროლეტარულ რაზმები შეიარაღებულნი არ არიან, მაგრამ საჭიროებისთანავე მოწვეული იქნებიან დამხმარე საპოლიციო სამსახურში.

მდგომარეობა გერმანიაში.

გერმანიის შინაგან პოლიტიკურ მდგომარეობას ცეიგნერი მეტათ მერყევათ სთვლის; **ქვეყანაში უდუქ მაპუროთ დარჩენილია რამოდენიმე ასეული ათასი კაცი.** მდგომარეობის გამწვავება და მასიური შეტაკებანი სრულიად მოსალოდნელია.

არეულობა სიმშილობის და უმუშევრობის ნიადაგზე

დიდი მღელვარებანი უსურსათობის ნიადაგზე.

ბერლინი. 13 ოქტომბ. გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში ადგილი ჰქონდა დიდ მღელვარებებს უსურსათობის ნიადაგზე.

ბერლინში მოხდა შეტაკება უმუშევართა დემონსტრაციასა და პოლიციას შორის. პოლიციამ მრავალი დემონსტრანტი დააპატიმრა.

ზოლინგენში მუშათა მასიური დემონსტრაცია მოითხოვდა ავანსად 10 მილიარდ მარკის მიცემას. მაღაზიებში მუშებმა მოახდინეს სურსათის რეკვიზაცია.

კელნში დარბეულია სასურსათო და ფართლეულის მაღაზიები; იმართება უმუშევართა მასიური დემონსტრაციები, რომელთაც პოლიცია სდევნის.

მღელვარება სურსათის სიძვირის ნიადაგზე.

ბერლინი. 13 ოქტ. კელნში და ვისბადენში მოხდა მღელვარება სურსათის სიძვირის ნიადაგზე, რომელიც ჩააქრო პოლიციამ.

მდგომარეობა კატასტროფიულია.

ბერლინი. 13 ოქტომბ. კელნში, დიუსელდორფში, ვისბადენში, ზოლინგენში და ფრანკფურტში ხდება დიდი მღელვარება სიმშილობის ნიადაგზე. უმუშევრობა მასიურ ხასიათს იღებს. მრეწველებმა შემოიღეს 30 საათის სამუშაო კვირა.

სურსათ სანოვაგეზე ფასების ზღაპრული ზრდა დიდ აღშფოთებას იწვევს მუშებს შორის. ბერლინში, ლეიპციგში, დიუსელდორფში, კრეინახში და კელნში დაარბიეს სასურსათო მაღაზიები. კელნში რამოდენიმე მუშა მძიმეთ დაიჭრა, ერთი მოკლეს.

უმუშევართა დემონსტრაციები

ბერლინი. 13 ოქტ. რურის ოლქის მთელ რიგ ქალაქებში გაიმართა უმუშევართა დემონსტრაციები. ზოლინგენში დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 10.000 მუშა. პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლეს ორი მანიფესტანტი, 17 დაჭრეს.

დიუსელდორფში უმუშევრებმა ალყა შემოარტყეს მუნიციპალიტეტს. ქალაქის გამგეობამ დახმარებისათვის მიმართა საფრანგეთის სარდლობას.

შავ ბანაკში

იტალიის ფაშისტებს სთხოვენ დახმარებას.

ბერლინი. 13 ოქტ. გაზეთების ცნობით, ჰიტლერის მანდობილობით რომში ჩასულმა ჟურნალისტმა ლიუდიგემ იტალიის ფაშისტურ პარტიასთან მოლაპარაკების დროს სთხოვა უკანასკნელს ჰიტლერისათვის დახმარების გაწევა, ბერლინზე გალაშქრების დროს. ლიუდიგე არწმუნებდა იტალიის ფაშისტებს, რომ ჰიტლერის მოღვაწეობას არავითარი ზიანი არ მოაქვს იტალიისათვის.

ჰიტლერმა შესცვალა რისხვა მოწყალებით.

ბერლინი. 11 ოქტ. ფაშისტური ორგანიზაციიდან („საიმპერიო ფლაგი“) იმ წევრთა გამორიცხვის შემდეგ, რომლებიც მხარს უჭერდენ კარს, ჰიტლერმა კვლავ თანხმობა განაცხადა მებრძოლ ორგანიზაციების კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე.

გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკება

პასუხს არ აძლევენ.

ბერლინი. 12 ოქტ. გერმანიის ოფიციალური ცნობები ადასტურებენ, რომ საფრანგეთისა და ბელგიის მთავრობებს დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიუციათ გერმანიის წინადადებებზე საკონტრიბუციო საკითხზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

რატომ დამარცხდა სტინესი დეგუტთან მოლაპარაკებაში.

ბერლინი. 13 ოქტ. ირკვევა, რომ ვოლფი დიდი ხანია, რაც მოლაპარაკებას აწარმოებს ფრანგებთან, მაგრამ ჩამოყალიბდა ეს მოლაპარაკება მხოლოდ პასიურ წინააღმდეგობის გაუქმების შემდეგ. სტინნესმა კი სხვა მრეწველობაზე უფრო გვიან დაიწყო მოლაპარაკება და თავისი პირობების ფრანგებისათვის თავზე მოხვევის ცდა. ვოლფის ხელშეკრულების დადებამ დეგუტთან დააჩქარებია სტინნესს მოლაპარაკება. **ვოლფმა მოახერხა შეთანხმება რეპარაციების ანგარიშზე ნახშირის, ცემენტისა და მანქანების გადახდის შესახებ.** სტინნესი კი, რომელიც მოითხოვდა სამუშაო დღის გადიდებას და კრედიტებს საფრანგეთისაგან წარმოების აღსადგენათ, დამარცხდა.

რას მოითხოვს დეგუტი.

ბერლინი. 13 ოქტ გერმანელ მრეწველებთან მოლაპარაკების დროს დეგუტმა წამოაყენა შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) მაღაროების მეპატრონეებმა უნდა გადაიხადონ სანახშირო გადასახადები წარსული დროისათვის, 2) **დაკავებული ნახშირის საწყობები უნდა დარჩეს საფრანგეთის მთავრობის ხელში**, 3) წინანდებურათ უნდა ხდებოდეს ნახშირის მიწოდება საკონტრიბუციო გადასახადების ანგარიშში, 4) ნახშირის მიწოდება საოკუპაციო ჯარების საჭიროებისათვის უნდა ხდებოდეს უფასოდ, 5) უფასოდ უნდა ხდებოდეს აგრეთვე ნახშირის მიწოდება რკინისგზებისათვის.

ბულგარეთი აჯანყების შემდეგ

სამხრეთ სლავიაში თავი მოიყარა ბულგარეთის 500 ლტოლვილმა დევნილებმა, რომლებიც დიდ გაჭირვებას განიცდიან.

ბულგარეთში თეთრი ტერორის მსხვერპლი გახდა 3,000 კაცი, დატუსაღებულია 15,000 კაცი.

კომპარტიის მეთაურებს და აჯანყებაში მონაწილეობის მიმღებთ მოელის სიკვდილით დასჯა.

ბულგარეთის ლტოლვილთა ბედი.

ვენა. 13 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიის მთავრობის ოფიციალურ ცნების მიხედვით, **ნიშში თავი მოუყარა ბულგარეთის 522 ლტოლვილმა,** რომელთაგან 331 გლეხი, 97 ინტელიგენტი. მრავალია აგრეთვე ქალებიც, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ უკანასკნელ ბრძოლებში. თვით ბულგარეთში მთავრობა აჯანყებულებს აძლევს მაკედონელებს, რომელნიც მხეცურათ ეპყრობიან მათ. ლტოლვილები სიმშილს განიცდიან.

რუმინეთის გლეხთა პარტიის ორგანო „ავრორა“ იტყობინება, რომ რუმინეთის საზღვრებზე დაკავებულ 13 ბულგარელი ლტოლვილი მოთავსებულნი არიან ბუქარესტის კონცენტრაციულ ბანაკში. გაზეთი მოითხოვს ლტოლვილების განთავისუფლებას და მათდამი ადამიანურ მოპყრობას.

თეთრი ტერორის 3.000 მსხვერპლი.

ვენა. 13 ოქტომბერი. სოფიიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ბულგარეთში აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, თეთრი ტერორის მსხვერპლი გახდა 3000 კაცი, დატუსაღებულია 15 000 კომპარტიის მეთაურებს და ბრძოლებში მონაწილეთ მოელით სიკვდილით დასჯა.

სიკვდილით დასჯას მოითხოვენ.

ვენა. 13 ოქტომბერი პლოვდივში დაიწყო 9 ივნისის გლეხთა აჯანყების მონაწილეთა პროცესი. ბრალმდებელი სიკვდილით დასჯას მოითხოვს სტამბულინსკის ერთერთ მინისტრისათვის, რომელიც ხელმძღვანელობდა აჯანყებას.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი

შვეიცარიას სურს მიიღოს ანგორის

ანგორა. 11 ოქტომბერი. ანგორაში ჩამოვიდა შვეიცარიელ ინჟინერთა ჯგუფი, რომელსაც სურს ანგორის, ტრაპიზუნდისა და სხვა ქალაქების ელექტროფიკაციის კონცესიის მიღება

ანგორის დედა-ქალაქათ გამოცხადების პროექტი.

ანგორა. 11 ოქტომბერი. სახალხო პარტიამ შეიტანა მეჯლისში წინადადება ოსმალეთის დედა-ქალაქათ ანგორის გამოცხადების შესახებ.

ფრანგების წასვლის შემდეგ.

ანგორა. 13 ოქტ. გერმანიის წარმომადგენლობამ კონსტანტინოპოლში დაიკავა საფრანგეთის ყოფილ საელჩოს ბინა.

საუბარი გერმანიის წარმომადგენელთან.

ანგორა. 13 ოქტ. ანატოლიის ტელეგრაფის სააგენტოს დიპლომატიურ თანამშრომელთან საუბარში, გერმანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანიას მუდამ ეხსომება ოსმალეთის წ[illegible]ული მეგობრობა და მას იმედი აქვს მისი აღორძინებისა.

გერმანიის საელჩო ანგორაში.

ანგორა. 13 ოქტ. გერმანიის წარმომადგენელი კონსტანტინოპოლში ანგორაში იმყოფება.

საბერძნეთი

ჩხუბი პარლამენტში.

რომი. 15 ოქტ. შაბათს საბერძნეთის პარლამენტში საგადასახადო რეფორმის გარჩევის დროს სერიოზული შეტაკება მოხდა მთავრობასა და ოპოზიციონურ ფრაქციებს შორის. ოპოზიციამ დასტოვა სხდომის დარბაზი.

4 მინისტრის გადადგომა.

პარიზი. 15 ოქტომბერი. საბერძნეთში 4 მინისტრი გადადგა. საბერძნეთის პრემიერმა გონატომმა წინადადება მისცა მათ დარჩენ თავიანთ ადგილებზე ახალ არჩევნების დანიშნის შესახებ დეკრეტის გამოცემამდე, რაც ამ დღეებში მოხდება. გადადგომილთა რიცხვში საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ალექსანდრისი, რომელიც გადადგა მას დადასტურების შემდეგ დანიშნული იქნება საბერძნეთის დელეგატათ საკონტრიბუციო კომისიაში.

სხვადასხვა

იაპონია

20 რევოლიუციონერის მხეცური ამოჟლეტა.

ოსაკა. 11 ოქტომბერი. ტოკიოში მიწის ძვრის დროს, პოლიციამ და ჯარისკაცებმა მხეცურათ ამოჟლიტეს საპყრობილეში 20 რევოლიუციონერი, მათ შორის 9 იაპონელი კომუნისტი. ეს ამბავი აქამდე დაფარული იყო იაპონიის ცენზურის მიერ.

პოლონეთი

პოლონეთის ქონების საჯაროთ გაყიდვა.

ვარშავა. 11 ოქტომბერი, პოლონეთის პრესა იტყობინება, რომ იუნგის მისიას მიზნათ აქვს პოლონეთის ქონების შეფასება, რომლის ნაწილი მოხმარებული იქნება როგორც გირაო, დანარჩენი ნაწილი კი გაიყიდება საზღვარგარეთელ კონცერნებზე, პირველ რიგში ინგლისის კონცერნებზე. პარალელურათ იუნგთან, პოლონეთის ქონების შეფასებაზე მუშაობს საფრანგეთის სინდიკატი ბერანჟე, რომელსაც წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ინგლისის გავლენას; მან უნდა მოახერხოს, რომ პოლონეთის ქონება გაიყიდოს იმ კონცერნზე, რომელიც საფრანგეთისათვის იქნება სასურველი.

ინგლისი

დე-ვალერამ გაიმარჯვა.

ლონდონი. 12 ოქტომბერი. ინგლისის გაზეთების ცნობით, მიუხედავათ დე-ვალერას მომხრეების დევნისა ირლანდიაში უკანასკნელმა საკანონმდებლო დაწესებულების ახალ არჩევნებზე მიიღეს ხმების 27 პროც. რაც საშუალებას აძლევს რესპუბლიკანებს მიიღონ პარლამენტში 43 ადგილი. რესპუბლიკანელები იმყარებიან რა დეპუტატების დანაწილებას სხვადასხვა ჯგუფებათ, თავის გაზეთებში ირლანდიის მთავრობას უწოდებენ „უმცირესობის მთავრობას“.

„საიმპერიო კონფერენცია.“

ლონდონი 11 ოქტმბერი. კონსერვატიული პრესა, რომელიც იცავს ავსტრალიის პრემიერის ბრიუსის პროტექციონისტულ მიდრეკილებას მას „იმპერიის მხსნელს“ უწოდებს. ბრიუსის გამოსვლის გამო, ლიბერალურ პრესაში უკმაყოფილებაა. იტყობინებიან, რომ ლიბერალები მუშათა პარტიასთან ერთად, ემზადებიან წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის პროტექციონიზმს.

მხარის დაჭერა ერთა ლიგისათვის.

საიმპერიო კონფერენციაზე მოსმენილი იყო კერზონის მოხსენება იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის შესახებ და რობერტ სესილის მოხსენება ერთა ლიგისათვის შესახებ. ოფიციალურ ცნობების მიხედვით, კოლონიალურმა პრემიერებმა აზრი გამოსთქვეს მხარი დაუჭირონ ერთა ლიგას.

ჩინეთი

რუსეთის თეთრგვარდიელები არავისთვის არ არიან სასურველნი.

პეკინი. 11 ოქტომბერი. გზათა სამინისტრომ განუცხადა გარეშე საქმეთა კომისარს შანხაიში, რომ მას არ შეუძლია იკისროს ხარჯები რუსეთის თეთრგვარდიელების რეპატრიაციისათვის შანხაიდან რუსეთში. სამინისტრო წინადადებას აძლევს კომისარს გამონახოს გზები მისი მაზ[illegible] სტუმრებისაგან განსათავისუფლებლათ ხარჯების გაუწევლათ.

ლატვია

რუსეთის ჩერვონეცი ლატვიის ბირჟაზე.

რიგა. 13 ოქტომბერი ლატვიის ბირჟაზე ჩერვონეცის ვოტიროვკა დაიწყო. ლატვიის ბანკი გარანტიას იძლევა ს. ხ. რ. კავშირის სამეურნეო ორგანოების მიერ ამერიკაში შესყიდულ ბამბაზე.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას

ამხ.-თ კოლია კიკნაძის („კომუნისტი“) და კოწია ხომერიკის („სობზი“) გამოწვევის საპასუხოთ გიგზავნით ორ ჩერვონეცს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ და ვთხოვ მათგან შემოტანილზე დაადვან კიდევ თითო ჩერვონეცი და ამგვარათ გამისწორდენ მე.

კ. მოდებაძე.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას

ამხ. დ. ნასარიძის გამოწვევის საპასუხოდ შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხ. და მოქალაქეებს:

1. კალისტრატე ამბაკოს ძე ფირცხალაშვილს (უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი აჭარისტანში), 2. იოსებ ეგნატეს ძე ზესელიძე (მიწად-მოქ. კომისარ.), 3. ვალერიან თევდორეს ძე მაქაცარია (ექიმი-ბათომში), 4. ალექსანდრე ცინცაძე (შინაგან საქმეთა კომისარ.), 5 ივანე ძიძიშვილი (წითელი ჯვარი), 6. სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძე (პროკურატურა), 7. ანტონ გელაზაროვი (ვექილი), 8. შალვა მესხიშვილი (ვექილი). 9. მიხეილ ოთარის ძე ზანდუკელი (ექიმი), 10. პლატონ ჯანელიძე (უმაღლეს საბჭ. ბუჰალტერი), 11. დათიკო ცინცაძე (რკინის გზის მუშათა და გლეხთა ინსპექცია), 12. ბიქტორ შარაშენიძე (კურორტის უმთავრესი სამედიცინო ნაწ. გამგე). 13. ი. კონიაშვილი (ექიმი), 14. კლიმენტი თალაკვაძე (აბასთუმნის სამმართველოს ბუჰალტერი), 15. ნიკოლოზ ხორავა (კბილის ექიმი).

ამ პირების საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ზედმეტის შეტანა არ არის აკრძალული და თავის მხრიდან გამოიწვიონ სხვა ამხანაგები და მეგობრები.

იასონ ჯორბენაძე

ვიწვევ საქართველოს მ. და გლ. მილიციას

(„კომუნისტის“ რედაქციას).

ამხ. ქავთარაძის გამოწვევაზე შემომაქვს ასი მილიონი მანეთი გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ და ჩემის მხრივ ვიწვევ საქართველოს მუშათა და გლეხთა მილიციას, და პირადათ 1. ტფილისის მილიც. უფროსს ხმალაძეს, მის თანაშემწეებს; მკურნალს, ჯიბლაძეს, კლდურაძეს. 2. გორის—ჭურღულიას, თანაშემწეს შოშიაშვილს. 3 დუშეთის—ბრეგვაძეს, თან. დევდარიანს. 4 ზუგდიდის—ჯანაშიას, თან. მიქაიას. 5. ლეჩხუმის—კომპალიანს, თან. კვირკაშვილს. 6. რაჭის—ელბაქიძეს, თან. გურგენიძეს. 7. ახალციხის—კველიშვილს, თან. გეგიძეს. 8. ახალქალაქის—ჯანაშიას, თან. ქარცივაძეს. 9. ქუთაისის მაზრის—იამანიძეს, თან. მაისურაძეს. 10. ოზურგეთის—ჯიბუტის, თან. დოლიძეს. 11. ზემო-სვანეთის—ძ.ძაგურს. 12. თელავის—ჯაფარიძეს, თან. გაბუნიას. 13 ბორჩალოს—რაიზერს, თან. მარუტოვს. 14. სიღნაღის—მესტიაშვილს, თან. მხეიძეს. 15. თიანეთის—სალაყაიას, თან დავიდოვს. 16. შორაპნის—ქორქოლიანს თან. მოდებაძეს. 17. სენაკის—შემათავს, თან. გვაზავას. 18. ქ. ფოთის გოგიას, თან ნაჭყეპიას. 19 ქ. ქუთაისის—ქუთათელაძეს, თან. მოგელაძეს. 20. სამხრეთ ოსეთის—კოკოევს, თან. ნაჭყეპიას. 21. ქ ბათომის—კილაძეს, თან. გაბისონიას, წულუკიძეს. 22. ქ ტფილისის სის. სამ. მილიც. უფრ. თოფურიას, თან. ჭუბაბრიას. 23. ქალაქების და მაზრების რაიონ. უფროსებს, მათ თანაშემწეებს და უფროს და უმცროს მილიციელებს.

ქალ. და მაზრების მილიც უფრ. თითოს 8 —60 მილ. მან. მათ თანაშემწეებს თითოს—30 მილ. მან., ქალ. და მაზრების რაიმილუფროსებს თითოს—20 მილ. მან. უფროს მილიციელს თითოს ათი მილ. მან. უმცროს მილიციელ. თითოს—3 მილ. მან. ხოლო ამხ. აკაკის მოუწოდებ გამისწორდეს ჩემ შეწირულებაში.

რესპუბლიკის მილიციის განყ. უფროსი ირ. დაშიშვილი.

„კომუნისტის“ რედაქციას

შემომაქვს სამოცი მილიონი მანეთი ამხ. აკაკი ქავთარაძის გამოწვევაზე და ჩემის მხრივ ვიწვევ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან ამხ. დიომიდე ქუჩლორიას, ალექსანდრე რაჟამაძეს, ალექსანდრე ცინცაძეს, ალექსანდრე გეგენავას, შურა ხამაშურიძეს, კოწია ნანეიშვილს, გიორგი ძანდრიაძეს, სიმონ შანშიაშვილს, ლევან შოთნიაშვილს, ერმოლოზ ჰუმბურიძეს, გიორგი ახვლედიანს (ტფილისის ალმასკომიდან)

პლატონ მიქაბერიძე.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

[illegible] პასუხოთ და ჩემის მხრივ ვიწვევ ჩემს კარგ ამხანაგებს:

ქიათურიდან: ბაბკენ კოჩიანს, ბიტოლი ლეჟავას, ვალერიან შავგულიძეს, კალისტე გამზარდაშვილს, მარო ჩიტიშვილს, ნიკიფორე ტყემალაძეს, ფილიმონ ლაბაძეს, დავით მაჭარაშვილს, გიორგი რუხაძეს, ჭაბუკ მიშველიძეს, კოწია ვაშაძეს, ირაკლი ჯაოშვილს, დიმიტრი მელქაძეს, ვალიკო კოსტავას, ანდრო კობიძეს, პაშა აბესაძეს, იაგორ კონტრიძეს, ნინა მებუკეს და გოგუცა ჯობაძეს.

დარწმუნებული ვარ, ჩემ მიერ გამოწვეული ამხანაგები მეტს თუ არა სამოც მილიონს სიხარულით გაიღებენ.

ქუთაისიდან: ალექსანდრე ჯაჯაძეს, ვლადიმერ კალ ნდაძეს, დიმიტრი კომახიძეს, სეფე ლეკიშვილს, გიორგი გულივერდაშვილს, იონა კობახიძეს, რიტა ალავერდოვას, თამარა გაბარაშვილს და ნინა ბაქრაძეს.

იმედია, რომ ქუთათური ამხანაგები არ ჩამორჩებიან ქიათურელ ამხანაგებს.

კლიმენტი ხულავა.

(შორ. სამაზრო პროფბიუროს პ | მ. მდივანი)

В редакц. «Коммунист»

По вызову тов. Баджиашвили вношу пять миллионов и вызываю т. т. Абшилава Екатерину, Меликову Валер. Мойсееву Нину, Ледиеву Марию.

Асратянц Ерванд

გაზ. ,,კომუნისტი“-ს რედაქციას.

თანახმად შალვა გოგიშვილის გამოწვევისა, შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ორმოცდა ათი მილიონი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) დიმიტრი წილოსანს, 2) სეფე ცანცაძეს, 3) ივტიხი კაცაძეს, 4) ტიტე სიხარულიძეს, 5) ვირლამ გაბუნიას, 6) ალექსი ბოლქვაძეს, 7) მიხაკო ვაშაკიძეს, 8) ევგენი ებრალიძეს, 9) გიორგი როდოფინოვს 10) კალენიკე ცისკარიძეს, 11) შალვა ნიკოლაიშვილს, 12) ამხ. როლქეს, 13 [illegible] ერმალო დიდიძეს, 14 ნაგომრის [illegible] გამგეობის [illegible] ამხ. [illegible] ფნისს და ცეკავშირიდან ამხ. ამხ. სპირიდონოვს [illegible]

[illegible]

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ყოფილი მენშევიკი, არმენაკ უმბრიევი, გერმანელი მუშების ფონდი
გასაძლიერებლათ ვწირავ ოქროს ჯვარს და 2 მანეთის ვერცხლის ფულს
ასეთივე ღირებულებით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) ნ. ჩ.აიძე, 2) ი. ხუ
ბრელაშვილი, 3) ისაკა ლულაშვილი, 4) ბ. მიკირტუმოვი, 5) ვასო რაკვია-
შვილი, 6) ვ. ალიხანოვი, 7) არ. რუხაძე, 8) გ. პირველი, 9) კაიტა-
ჯიანც, 10) ტოპაძე, 11) გ. ჯაბაური, 12) ი. ლულუაშვილი, 13) ლაცენკო
ი., 14) პ. გნაიოვი, 15) ი. ჯოგორჯიძე, 16) ა. ცაგარლიშვილი, 17) კუდ
როვცოვი, 18) ვ ვაშაკიძე, 19) ჭანტურია (მჭედელი), 20) ბატონესაშვილ
21) ბალოიანცი მიკირტიჩა, 22) არტ. მაკარეიშვილი, 23) ხარიტაშვილ
(დეპო), 24) ვაშაკიძე ანდრეი, 26) გ. შუბლაძე, 27) გ. მაისურაძე, 28)
ვარდოიანი, 29) ს. ლუკაშევიჩი, 30) ნ. ბერეჟიანი, 31) გიორ. ნინუა, 3
ივან ნინუა, 33) გ. მურმანიშვილი (სურამელი), 34) გერსამია (დორპრო
სოჟი, ტელ. ფ. № 60). ამხანაგებო! ალიმაღლეთ ხმა, მძლავრი და სოლი
რული, გამოიწვიეთ ყველა ამხანაგები თქვენივე მხრიდან. გერმანელ ამხანა
ჩვენგნით მოელიან ყოველივეს... ასეთი საჩკე ჩვენ თვითონ ვიყავით
ცხოვრებაში. ჩვენი ხელის გაწოდება არის საერთაშორისო პროლეტარია-
ტის მძლავრი კავშირი.

ასეთი კავშირისთვის ნურას დავზოგავთ.

ამხ. სალამით არ. უმბრიევი.

სალამი თქვენ, კომუნისტებო! სალამი ჩემ ქალარა მასწავლებლებ
სალამი თქვენც ჩემთან შეზრდილნო და სალ. თქვენც მოწაფეებო. გიწვე
საერთო ჩვენი პროლეტარული მოვალეობისაკენ.

1) ა. ოქუაშვილი, 2) მ. ჩოდრიშვილი, 3) გ. ჩხეიძე, 4) ვ. ვაშა
5) ა. ფირცხალავა, 6) მ. ცხაკაია, 7) გ. როთველაძე, 8) ი. გალუსტოვ
ა. თორ..ზოვი, 10) შ. ელიავა, 11) ვ. ლაშქარაშვილი, 12) ოჰანეზ ონან
13) კ აბგაროვი, 14)) ვ. გასვიანი, 15) ა. კაპანაძე, 16) ვ. ჯიჯი
17) დ. თაქთაქიშვილი, 18) კაჩატკოვი, 19) ნ. რუხაძე, 20) ხუციშ
კოლა, 21) ი. გილაშვილი, 22) პ. საბაშვილი, 23) დ. ფანცულაია, 24
ცინცაძე, 25) ერქვემაიშვილი, 26) თარხანოვი გიგო, 27) სიმ. ნაბახტ
28) მიხ. ნაბახტიანი, 29) კ. ფირცხელავა, 30) დათ. ნერსესოვი, 31) გ
ნია, (სახ. მოსწ. მე-13 განყ.) 32) გ. ოქუაშვილი, 33) ზ. სარდლიშვილი.

ამხანაგ. სალამით თქვენი ძველი ამხანაგი მუშ. არ. უმბრიევი.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას

მე უკანასკნელ ოქროს ბეჭედს ვწირავ გერმანიის დახმარებას
დის გასაძლიერებლად და ვიწვევ ასეთი ნივთიერი შემოწირულების
ღებად ვერცხლით ანუ ოქროთი შემდეგ ამხ. 1. ნ. ჩლაიძისა, 2. ი.
ლაშვილისა, 3. ი. ლულაშვილისა, 4. ბ. მიკირტუმოვისა, 5 ვ. რაკვიაშვი
სა, 6 ვ. ალიხანოვისა, 7. არ. რუხაძისა, 8 ს ფირნიევისა, 9. ვ. სახ
ლიძისა, 10. გ. პირველისა, 11. კაიტანჯისა, 12. გ. ჯაბაურისა, 13.
ლულაშვილისა, 14. პ. გნაიოვისა, 15. ი. ჯომარჯისა, 16 ა. ცაგარლიშ
სა, 17. კუდრიავცოვისა, 18. ვასო ვაშაკიძისა, 19 ა. მთვარ
ლისა, 20. ხარატიშვილისა, 21. ა. ვაშაკიძისა, 22. გ. შუბლ
23. გ მაისურაძისა, 24. ნ. ბერეჟიანისა, 25. გიორ. ნინოასი, 26.
ნინოასი, 27. პეტრე მემარნიშვილისა, 28. სტეპკო ისრაილოვისა,
ნო ისრაილოვისა, 30. ვ. ვარდოიანისა, 31. ა. ოქოაშვილისა, 32 ანდ
ხელავისა, 33. გ. ჩხეიძისა. 34. ვ. ვაშაკიძისა, 35 გ. როველაძისა,
თორ..ზოვისა, 37. კ. იორამიშვილისა, 38. კაჩატკოვისა, 39. ვ. მუ
შვილისა, 40. ნ. ლეჟავასა. 41. ი. გალუსტოვისა, 42. ო. ონანოვისა
ი. თაქთაქიშვილისა, 44 ვ. გასვიანისა, 45. ნ. რუხაძისა, 46. ვანო ხუ
ვისა, 47. პ. საბაშვილისა, 48. აქსენტი კაპანაძისა, 49. დ. თაქთაქიშ
სა, 50. ბაბლიძისა, 51. ა ბაგ.ამოვისა 52. გ. თარხანიშვილისა, 53.
გაროვისა, 54. დ. ფანცულაისა, 55. ი. გელაშვილისა. 56 ზ.
ლიშვილისა, 57. ვ. მორჩილაძისა, 58. კოლ. ხუციშვილისა,
ა. ლაფაჩიძისა. 60. სიმონ ნაბახტიანისა. მეუღლეებს: 61.
თაქიშვილის 52) გიორგი დანდუროვისა, 63) კოლია დანდურ
64) ივანე ნასყიდანოვისა, 65) ისაკ ნასყიდანოვისა, 66) ს. ხუცი
ს. ოგანეზოვისა, 68) ვ. გობერხაშვილისა, 69) ანეტა გოგიჩაიშვილ
70) აიკანუშა უმბრიევისა.

აშხენ უმბრიევ

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქტორს.

წარვადგინე (იხ. კომუნისტი 11 ოქტომბერი) 5 მილიონი მან.
ნიის მუშების სასარგებლოდ გამომეხმაურონ შემდეგ და ვიწვევ ჯ
ლობის კომისარიატის თანამშრომლებს: ამხ. ამხ. კუჭაიძეს, კიკალ
ჩიხლაძეს, ფანცხავას, ფანიევს, ჩხიკვიშვილს, გოცირიძეს, კოლ
ვალის, ვესელოვზოროვს, ბერიძეს, კუზანოვს, არვენოვს, ტერ-ოვ
არეშევს, ჩუბაროვს, ლენტოვსკას, მარგულოვს, ანდრიასოვს, ლ
ქელბაქიანს, დეკანოსიძეს, ხომერიკს, მალიგინს, მონიევს ჯაფარიძეს, მ
ანდრონიკოვს მარკოზოვს, ზუნტურაძეს, ჩიგოგიძეს, დადიანს, მხეი
ჩუას, არაქელიანს ნიკონოვს და მოქ. კოგანს (წიგნის გამომცემლობ
მომადგენ.).

ზემოაღნიშნული შეწირულება (5 მილ.) არ არის სავალდებულ
ქსიმუმი, მათ შეუძლიათ მეტიც გაიღონ ამ დიად საქმისათვის.

„კომუნისტი“-ს მუშკორი ა. ნიკოლაიშვილ

შემოვიდა 15 ოქტომბერს

1. კ. მოდებაძე 2 ჩერვონეცი. 2. ჯორბენაძე. 1 ჩერ 3. თაზ
100,000.000 მან. 4. ს თადრაა 61.000.000 მან. 5 მიქაბერიძე 60.000
6. კ. სულავა 60.000 000 7. ერქომაიშ 50.000.000 მ. 8. ივანოვი 10.000.0
9) ნ. ტუნიევი 10.000.000 მ. 10) ე. ა.რათიანც 5.000.000 მ. 11) ა.
ჯიანცი 5 000.000 12) მ. ჩუმარიანი 5.000.000 მ. 13) ა. ქიქოძე 5.0
მ. 14) მ. ბედია 2 200.000 მ. 15) ა. უმბრიევისაგან 1 ოქროს ჯ
ორი მანეთი ვერცხლით. 16) აშხენ უმბრიევისაგან ერთი ოქროს ბეჭ
ა. კალაძისაგან ერთი ოქროს ბეჭედი.

სულ სამი ჩერვონეცი (3) და 378.200 000 მანეთი წინეთ შემ
(220 ჩერვონეცი, ნახ. გირ. ინგლისური სტერლინგი. 2 ოსმალური
დის ლირა და 1.190.482.000 მან.) **223 ჩერვონეცი, ნახ. გირ. ინგ**
ლინგი, ორი ოსმ. ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 2 ოქროს ბეჭედ
ვერცხლით და 1.563.682.000 მან.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ამერიკა.

მბეჭდავთა გაფიცვა ნიუ-იორკში.

პარიზი. „ჰუმანიტე“-ს დაწვრილებითი ცნობები მოჰყავს ნიუ-იორკში რამოდენიმე ხნის წინეთ მომხდარ მბეჭდავთა გაფიცვის შესახებ. გაფიცვის პირველ დღის სტამბების მესაკუთრეებმა შეთანხმდენ ერთი საერთო გაზეთის გამოცემისთვის, რომლის სათაურში დასახელებული იყო გაფიცვაში მოყოლილ ყველა რედაქციების სია. საღამოს გამოვიდა მხოლოდ 6 გაზეთი. მბეჭდავთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გაფიცვა წარმოადგენდა ძალის დატანებას მუშათა და დამქირავებელთა შორის დადებულ შეთანხმებაზე, რომლის ძალით ყოველგვარი კონფლიქტი უნდა გარჩეულიყო არბიტრაჟის საშუალებით. იგი ემუქრებოდა მბეჭდავებს ჯგუფობისათვის „კანონის გარეშე“ მათი გამოცხადებით. გაფიცულთა დელეგატები მოითხოვენ სამუშაო დღის შემცირებას და ხელფასის გადიდებას 10 დოლარით კვირაში. დიდი გაზეთების პატრონები თანახმა არიან შეამცირონ სამუშაო დღე იმ პირობით, თუ დღიური მომუშავენი იმუშავებენ კვირაში 45 საათს, ხოლო ღამის—42 საათს. ხელფასის გადიდებაზე მათ უარი განაცხადეს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ფასების ზრდის მიზეზი.

მოსკოვი 13 ოქტომბერი. წვრილათ ვაჭრობის ინდექსი სექტემბრის უკანასკნელ მესამედში გაიზარდა 26 პროცენტით, მთელ სექტემბერში კი 93 პროც., სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს საბითუმო ინდექსი სექტემბრის განმავლობაში გაიზარდა 99 პროცენტით, ჩერვონეცი კი—100 პროც., რაც აიხსნება სახელმწიფო და კერძო სავაჭრო წარმოებების გადასვლით ჩერვონცების გამოანგარიშებაზე.

გადასახადი შემოსავლის კვლობაზე.

მოსკოვი. 13 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა საჩქაროთ შემოიღოს მოქმედებაში შემოსავლის კვლობაზე გადასახადის წესდების ის ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფო ტრესტებს, კომბინატებს, სინდიკატებს, სახელმწიფო წარმოებებს, რომელნიც სამეურნეო ანგარიშზე მუშაობენ, და აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციებს, საქციონერო და საპაიო ამხანაგობებს. ხარკის გადახდის დრო—3 თვე საოპერაციო წლის გათავების შემდეგ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაშ

საქართველო

ოქტომბრის დღესასწაულებისათვის მზადება.

გორი 11 ოქტომბერი. გორის სამაზრო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიამ გამოყო 5 ამხანაგისაგან შემდგარი სამაზრო კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის დღესასწაულის გეგმა.

ტირიფონის არხი.

გორი. 11 ოქტომბერი. დაიწყო მუშაობა გრანდიოზულ არხის გასათხრელად, რომელმაც უნდა მორწყოს ტირიფონის ველის ათეული ათასი დესეტინა მიწები; მუშაობას ხელმძღვანელობს ამ.-კავ. წყალთა სამმართველო. დაიწყო არხის მთავარ ნაწილის გათხრა. ამჟამად მიწის მუშაობა სწარმოებს თვიათის თემის სოფ. წლევთან და წლევმანთან. წინასწარი მუშაობა სწარმოებს მეჯვრისხევ ს თემში. მზადდება სატყეო მასალა ხელოვნურ შენობებისათვის

აჭარა

პოლიტიკურ ცოდნის გასინჯვა

ბათომი. 11 ოქტომბერი. დაიწყო საქართველოს კომპარტიის ბათომის ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკურ ცოდნის გასინჯვა.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი 11 ოქტომბერი. გავიდა სტამბოლისაკენ გემი „ზარბი სერ-
ბეი“, რომელმაც წაიღო 6
მანქანის ზეთი. ოდესიდან
გემი „პესტელი“, რომელმ
ნა 160.000 ფ. სხვადასხვა

ქიმიურ ქარხნის გაფა

ბათომი. 11 ოქტომბერი
ლურ მეურნეობის განყოფ
წინადადება მისცა ტექნიკ
ლო განყოფილებას შეუ
ქარხნის გაფართოვებას.

აფხაზეთი.

სიმინდის გაზიდვ

სოხუმი. 11 ოქტომბ. ს
ბანკმა აფხაზეთის კავშ
სეხი 1200 ტონა სიმინდ
ნად ჰამბურგში. ამ დღეებ
მინდისათვის მოვა სპეცია
ქირავებული გემი „მარტ

მანუფაქტურა.

სოხუმი. 11 ოქტომბ. ს
ბანკმა აფხაზეთის კავშირ
ხი ნოვოროსისკში 7000
რებულების მანუფაქტურ
ნათ.

აზერბეიჯანი

ამხ ლენინის სახელობის

ბაქო. 11 ოქტ. სექტ
ლენინის სახელობის ქარ
შის საშუალებით და
735,036 არშ. ქსოვილი.
განზრახულ პროგრამის
ვენს 70,9 პროც. საშუა
დღიურათ მუშაობდა

ერთ დაზგაზე დღეში იქსოვებოდა 36,7 არშინი, მუშავდებოდა დღეში 198 ფ. 38 გირ. ძაფი. მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 1-ლ ოქტომბრისათვის შეადგენდა 1652 კაცს. მუშაობაზე გამოსვლა—86 პროც. სექტემბერში სულ დახარჯულია 7103 ფ 11 გირ. ბამბა.

ფიზიკურ კულტურის სკოლები. ბაქო. 11 ოქტ. აზერბეიჯანის ცაკ-მა დაადგინა გახსნას ფიზიკურ კულტურის ორი სკოლა სამაზრო ინსტრუქტორების მოსამზადებლად. სკოლები განზრახულია 50 კაცისათვის. ხარჯთ აღრიცხვა გადაეცა აზერბეიჯანის უმაღლეს ეკონომიურ თათბირს.

ჰაეროპლან „ბაქოს მუშა"-სთვის. ბაქო. 11 ოქტ. წარმატებით მიდის შემოწირულებათა მოგროვება ჰაეროპლან „ბაქოს მუშის" სასარგებლოთ. კამპანიის დაწყებიდან შეგროვილია 15 885 მან. ოქროთი; 2947 მან. ჩერვ., 1336 ხუთი მანეთის ლიკვიდებულების ობლიგაციები, 48.525 მილ. მან. ამ.-კ. ფულის ნიშნებით და 6071 მან. საბჭოთა ფულის ნიშნებით.

ნავთის მრეწველობის აღორძინება. ბაქო. 12 ოქტომბერი. წინასწარ ცნობების მიხედვით 1922-23 საოპერაციო წლის განმავლობაში ბაქოს ყველა სარეწაოებზე, წვრილ უმნიშვნელო სარეწაოების გამოკლებით, ამოღებულია 213 მილ. ფუთი ნავთი, ე. ი. შარშანდელზე 33 მილ. ფუთით მეტი და შარშანწინდელ საოპერაციო წელზე 63 მილ. ფუთით მეტი. აზნავთს შეეძლო ნავთის ამოღება გაცილებით უფრო დიდ ციფრამდე მიეყვანა, რომ წარსულ წელს მას ჰქონოდა ამისათვის საჭირო თანხები. მაგრამ საფინანსო სალარის სიმცირემ შეამცირა ბურღვა, რის გამო აზნავთმა ვერ მოასწრო ყველა განზრახულ ხვრელის ექსპლოატაცია. წარსულ წლის განმავლობაში გაბურღვილი იყო 23,377 საჟ. ე. ი. შარშანდელზე მეტი 16 308 საჟენით და შარშანწინდელზე 21.769 საჟენით მეტი. მიუხედავათ წარსული წლის საფინანსო სალარის სიმცირისა, აზნავთმა გრანდიოზული მუშაობა შეასრულა ბაქოს ნავთის მრეწველობის აღორძინება-განვითარებისათვის, სახელდობრ აღორძინებულია მექანიკურ ქარხნების მთელი რიგი, რომელთაგან მრავალი სრულიად განახლებულია; სარეწაო საქარხნო რაიონში გაყვანილია ფართე და ვიწრო ლიანდაგიან რკინისგზების სილი, რომელიც ამცირებს მასალების გადატან-გადმოტანისა და სამუშაო ძალის ღირებულებას; შესრულებულია გრანდიოზული მუშაობა ელექტრონის ენერგიის გადაცემისათვის; დამთავრებულია ცენტრალურ ტეხნიკურ საწყობის შენება, რომელიც რაიონებთან დაკავშირებულია თავისი რკინისგზით; დაწყებულია 21 ვერსიან ნავთსადენის გაყვანა ბიბი ეიბათიდან შავ ქალაქამდე; შესრულებულია საბინაო აღმშენებლობის დიდი ნაწილი; დაწყებულია რაიონებში მუშათა შენობების აგება, შესამჩნევად გაუმჯობესებულია მუშათა ნივთიერი მდგომარეობა; დიდი მუშაობაა გატარებული ბიბიეიბათის ნავთსადგურში.

რა საკვირველია მთელი ამ ნამუშევრის ეფექტი, რომელმაც ვეებერთელა ხარჯები გამოიწვია, არ შეიძლება გამოჩნდეს მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში, მაგრამ იგი გამოიტანს თავის შედეგებს უახლოეს მომავალში. ტეხნიკური და სასურსათო საკითხები ეხლა,—ახალ საოპერაციო წლის დასაწყისში, გაცილებით უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია, ვიდრე წარსული წლის დასაწყისში. ამიტომაც აზნავთი ფეხს დგამს ახალ საოპერაციო წელში სრულის იმედით, რომ ის მისცემს ქვეყანას იმ 290 მილ. ფუთ ნავთს, რომელიც, თანახმად 1923—24 წლის პროგრამისა, საჭიროა ს. ს. რ. კავშირისათვის და გაბურღავს 41.660 საჟ. ახალ ხვრელებს.

პარტიული ცხოვრება

ქ. ჩხარი

კომპარტიის სარაიონო კონფერენცია

1923 წ. 30 სექტემბერს. ქ. ჩხარში შესდგა ს. კ. პ. ჩხარის სარაიონო კონფერენცია. დაესწრნენ მთელი რაიონის, როგორც კომპარტიის აგრეთვე კომკავშირის წევრების უმრავლესობა. დაესწრო აგრეთვე სამპარტკომის წარმომადგენელი ამხ. მ. სიმონგულოვი. კონფერენცია გაიხსნა ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგების ს. კორკოტოვის და კ. რობაქიძის სახელობის კლუბში (ყოფილი სომხების ეკლესია). კონფერენცია გახსნა ამხ. გ. სახელაშვილმა. კონფერენციის გახსნისას მომღერალთა გუნდმა შეასრულა „ინტერნაციონალი"-ს ჰიმნი.

პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. ამხ. ბაგრატ სახელაშვილი, ალექსანდრე ფანჩულიძე და ღენტორ კირკიტაძე.

საპატიო თავმჯდომარეები: ამხ. ამხ. ლენინი, ტროცკი, ცხაკაია, მახარაძე და მ. ორახელაშვილი.

კონფერენციამ გამოიმუშავა შემდეგი დღის წესრიგი:

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.
2. მოხსენება რაიკომის მუშაობაზე.
3. მოხსენება ადგილებიდან.
4. კომკავშირის ჩხარის რაიკომის მოხსენება.
5. მომავალი მუშაობის გეგმა.
6. ანტირელიგიური კამპანიის შესახებ მომავალში.
7. რაიკომის არჩევნები.
8. სამაზრო კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა.
9. მიმდინარე კითხვები.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე გააკეთა ამხ. მ. სიმონგულოვმა, მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერისი რეზოლუცია.

რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ბ. სახელაშვილი. რაიკომის მოხსენებას უერთდება მოხსენებები ადგილებიდან, რაიკომის მუშაობა მთელი რაიონის მასშტაბით კონფერენციის მიერ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

კომკავშირის რაიკომის მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს რაიკომის პ.-მ. მდივანი ამხ. ალ. ფანჩულიძე. მოხსენების შემდეგ შემოდის შეკითხვები კომკავშირის მუშაობის შესახებ. ანტირელიგიური კამპანიის შესახებ მომხსენებელი სიმონგულოვი აღნიშნავს მუშაობის სხვადასხვა მხარეებს მომავალში, რასაც კონფერენცია სავსებით ეთანხმება. დასასრულ კონფერენციის სახელით მისალმების დეპეშა გაეგზავნა ს. კ. პ. ცეკას, შემდეგ კონფერენცია იხურება ინტერნაციონალის სიმღერით საღამოს 4 საათზე.

ალ. ფანჩულიძე

გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ს საქმე სასამართლოში

14 ოქტომბერს ნაძალადევის თეატრში სახალხო სასამართლომ გაარჩია გაზ. „რაბოჩაია პრავდა"-ს საქმე, რომელსაც ძმები ჯაფარიძეები ბრალს დებდენ ცილისწამებაში. ამ საქმემ დიდი ინტერესი გამოიწვია მუშათა წრეებში. თეატრის დარბაზი სავსე იყო. ბრალდებულებთა სკამზე ისხდნენ: „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქტორი ვირაპი, მუშათა ცხოვრების გამგე ამხ. კასპაროვი და მისი მოადგილე ამხ. ბელოვი.

საიდან წარმოიშვა ბრალდება.

როგორც საქმიდან ჩანს და სახალხო მოსამართლის მოხსენებიდან გამოირკვა, ძმებმა ჯაფარიძეებმა აღმოსავლეთ საქართველოს რევოლიუციონური ტრიბუნალის პროკურორს გადასცეს საჩივარი, რომელშიც აცხადებდენ, რომ ვითომ 1916 წელს ვიღაც შჩუკინთან წალაპარაკების დროს ერთ-ერთმა ძმამ სილა გაარტყა შჩუკინს. ამავე დროს როგორც მენშევიკური, ისე საბჭოთა, მუშური სასამართლოს დადგენილებებიდან ჩანს, ამ „სილის გარტყმის" შემდეგ, შჩუკინს თავი აღმოაჩნდა გატეხილი.

გაზეთმა „რაბოჩაია პრავდა"-ამ ერთ-ერთ თავის ნომერში ამ საქმის გამო მოთავსებულ წერილში ძმებ ჯაფარიძეების მიმართ იხმარა სიტყვები: „ბანდიტები", „მკვლელები".

ეს სიტყვები არ მოეწონათ ჯაფარიძეებს და მათ სამართალში მისცეს „რაბოჩაია პრავდა".

რის დამტკიცება სურდათ ბრალმდებელთ.

ძმებ ჯაფარიძეების დამცველმა მოქ. ჯაფარიძემ სასამართლოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, მოწმე ვ. ჯაფარიძის ავადმყოფობის გამო, კითხვების ფურცლის შედგენის და მისთვის სახლში გაგზავნის შესახებ. მოქ. ჯაფარიძის სიტყვით, ამხ. ვ. ჯაფარიძეს უნდა დაედასტურებია, რომ ძმები ჯაფარიძეები „პატიოსანი", „რიგიანი" ხალხი არის და მათ „დიდი" დამსახურება მიუძღვით რევოლიუციის წინაშე.

სასამართლომ უარი სთქვა მოქ. ჯაფარიძის თხოვნის დაკმაყოფილებაზე. მაშინ მოქ. ჯაფარიძემ ითხოვა საქმის გარჩევის გადადება ამხ. ვ. ჯაფარიძის განკურნებამდი, რადგან ის ერთად ერთი მოწმეა, რომელიც დაამტკიცებს ბრალმდებელთა სიმართლეს.

ილაშქრებს რა ამ წინადადების წინააღმდეგ, ამხ. რუბენი ამბობს, რომ პარტიას, რომლის წინაშე დამსახურებაზე ლაპარაკობენ ბრალმდებლები, არ დაუვალებია ჯაფარიძისათვის თავი გაეტეხა შჩუკინისთვის, ამხ. ვარია ჯაფარიძე კი არ იტყვის და ვერ იტყვის, რომ ჯაფარიძე სამართალში არ იყო მიცემული, რადგან ამის შესახებ არის სასამართლოს დადგენილებები. ამიტომ ამხ. ვ. ჯაფარიძის დაკითხვა არ არის საჭირო.

სასამართლომ დაადგინა საქმე გაარჩიოს.

რას უჩვენებენ მოწმეები.

ბრალმდებელთა მოწმეები, რომლებიც მოწვეული იყვნენ იმის დასამტკიცებლად, რომ ჯაფარიძეები „ბანდიტები კი არა, არამედ პატიოსანი ხალხია, უჩვენებენ, რომ იცნობდენ ჯაფარიძეებს 1904 წლიდან 1912 წლამდი, რა მოხდა შემდეგ წლებში მათ არ იციან, ან თუ იციან ხმების მიხედვით.

მოწმეების ჩიქვაიძისა და ვარლამ ჯაფარიძის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ძმ. ჯაფარიძეებს აქვს ხე-ტყის სახერხი ქარხანა სუმბატოვოში და ამავე დროს ისინი არიან რკინისგზის კონტრაგენტები. ვ. ჯაფარიძე ამბობს, სხვათა შორის, რომ ძმ. ჯაფარიძეები ისეთი ხალხია, თუ დილით ჯიბეში აქვთ ფული, საღამოთი უკვე არაფერი აქვთ. რკინისგზის კონტრაგენტებათ ისინი ახლაც არიან.

ამის შემდეგ სასამართლო იწყებს დამცველთა მხარის მოწმეების დაკითხვას.

სასამართლოს აღმასრულებელი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ძმებ ჯაფარიძეებისათვის შჩუკინის მეუღლისათვის მისჯილი თანხის გადახდევინება, ამბობს, რომ მან ჯაფარიძებს აუწერა დაახლოებით 900 მანეთის ქონება, მაგრამ როცა მან მოახდინა ქონების შემოწმება, გამოირკვა, რომ 500—600 მანეთის ქონება გაფლანგული აღმოჩნდა.

მოწამე ხანაკალამოვი, რომელიც მომხსენებელი იყო ჯაფარიძე-შჩუკინას საქმეზე, ამბობს, რომ ა. ჯაფარიძემ მას უთხრა: თუ საქმე არ გადასწყდა, მის სასარგებლოდ, მას შჩუკინას მოკვლის მეტი არაფერი დარჩენია.

მხარეების კამათი.

ბრალმდებლის რწმუნებული ჯაფარიძე თავის სიტყვაში სცდილობს გაარკვიოს შჩუკინის პიროვნება და გაამართლოს ჯაფარიძე. ამტკიცებს მოწმეთა ჩვენების თანახმად, რომ ჯაფარიძე პროლეტარია და არა ბანდიტი. რადგან სიტყვა ბანდიტი, უნდა იქნას გაგებული, ისე, როგორც ეს საგანგებო კომისიას ესმის. ასეთი ბანდიტი კი ჯაფარიძე არ ყოფილა.

ბრალდებულების დამცველებმა თავის სიტყვებში გაამართლეს ბრალმდებლის ყველა მოსაზრებანი და საკითხი ჩააყენეს განსაზღვრულ ჩარჩოებში. სახელდობრ მათ აღნიშნეს, რომ საკითხი ეხება ძმ. ჯაფარიძეების მიერ წაყენებულ ბრალდების რედაქცია „რაბოჩაია პრავდასადმი" ცილისწამებაში.

ამხ. ნარიმანოვი, კუსიკოვი და ლუკინი ამტკიცებენ ბრალდების უსაფუძვლობას.

ამხ. რუბენმა აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მუშკორების დევნა გადავიდა სასამართლოს დარბაზში და ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მუშათა პრესა, როგორც პროლეტარიატის ორგანო ზის ბრალდებულის სკამზე. საჭირო არ არის შევაფასოთ როგორც მენშევიკების, ისე პროლეტარულ სახალხო სასამართლოს განაჩენები, რომლებშიაც ძმ. ჯაფარიძენი ცნობილნი არიან სისხლის სამართლის დამნაშავეებათ და ეხლანდელი მათი ცდა ხელახლა განაახლონ საქმე შჩუკინის ცემა-ტყეპის შესახებ, არის მხოლოდ პროლეტარულ სასამართლოს უპატივცემლობა.

ავტორის ვინაობის გამოაშკარავების შესახებ, ამხ. რუბენი ლაპარაკობს, რომ რედაქცია ავტორს არ გასცემს, ვინაიდან მას არ აქვს გარანტია, იმისა, რომ ავტორს თავს არ გაუტეხენ.

თუ ჯაფარიძე ლაპარაკობდა, რომ მას შეუძლია შჩუკინის მოკვლა, თუ საქმე არა მის სასარგებლოთ დასრულდება, ეს იყო სრულიად შეგნებული და მოფიქრებული განცხადება და კარგად ვერ მოიქცა ხანკალამოვი, რომ მაშინვე არ დასვა ჯაფარიძენი ბრალდებულის სკამზე

ბრალდებულების უკანასკნელი სიტყვა

ბრალდებულებიდან უკანასკნელი სიტყვის უფლებით ისარგებლა მხოლოდ ამხ. ვირაპმა, რომელმაც დაახასიათა ჯაფარიძე; როგორც სასამართლოს უკანა კარებში მოსიარულე, რომელსაც არავითარი პატივისცემა არ აქვს პროლეტარულ სასამართლოსადმი და განაცხადა, რომ მუშკორის თავის გატეხა უფრო ადვილია, ვიდრე რედაქციის და როდესაც რედაქციამ უარი უთხრა ჯაფარიძეს გასამართლებელ წერილის მოთავსებაზე, ამით მან თავს იდვა მთელი პასუხისმგებლობა.

ეხლაო, ამბობს ამხ. ვირაპი, აქ, სასამართლოში, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან მოისმინა, ის კიდევ უფრო მეტად დარწმუნდა, რომ ჯაფარიძე ბანდიტია და თუ ჯაფარიძე მიდის „კომუნისტი"-ს რედაქციაში და ასეთსავე მუქარას უთვლის „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქტორს, ის იძულებულია ითხოვოს დაცვა თავის გატეხისაგან.

სასამართლოს განაჩენი.

მიიღო რა მხედველობაში მოწმეთა ჩვენება და საქმეში არსებული მასალა, სასამართლომ სცნო, რომ „რაბოჩაია პრავდა"-ს მხრივ ცილისწამებას ადგილი არ ჰქონია და ამიტომ ცნობილ იქნას რედაქცია სასამართლოს მიერ გამართლებულად.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.
(15 ოქტომბერი).

ჩერვონცები — —	63,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	56,000
ჩეკები —	52,500
დოლარები ეფექტ. —	12,800
ჩეკებია	11.900
ოსმ. ქალ. ლირა	6.800
იტალიური ლირა	360
ფრანგული ფრანკი	540
საბჭ. ფულის ნიშნები	12 ნახ.

მუშკოპის ფასები
(13 ოქტ.)

პური 1 ხარ.—325 ათ.; პური 2 ხარ.—275, ძროხის ხორცი—900 ათ., ცხვრის ხორცი—1300 ათ., შაქარი რაფ. 3090. ფხვნილი შაქარი—2,600, მაკარონი—990 ათ. კარტოფილი—80 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები
(13 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ.—400 ათასი, პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინ.—3 მილ. ფხვნილი შაქარი—2600. ბრინჯი ადღაშ.—700 ათ. მაკარონი 1 მილ., კარტოფილი 125—150.

ნედლი მასალის უტილიზაცია.

1 სექტემბრიდან სააქციონერო საზოგადოებამ „ზაკუტილსირიომ" აიღო იჯარით ტფილისის სასაკლაობთან არსებული ქარხანა 2 წლის ვადით 850 ჩერვონეცის მანეთად თვეში. იმავე დღიდგან დაიწყო ინტენსიური მუშაობა ნაწლევების დასამზადებლად.

ექსპლოატაციის პირველი თვის განმავლობაში ქარხანამ თვალსაჩინო შედეგი მოიტანა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სააქციო საზოგადოების არსებობა ხელსაყრელი საქმეა.

საკუთარ პროდუქციის დამუშავების გარდა, სააქციო საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ნაწლავის დიდი პარტიის დამზადება—უცხოეთის ბაზარზე გასატანად.

ამ მიზნით დადებული იყო ხელშეკრულება ამიერ-კავკასიის ნაწლავის მსხვილ მრეწველებთან 50.000 შეკვრა ცხვრის ნაწლავის რეალიზაციისათვის. დამამზადებელმა აპარატმა ყოველი ზომა მიიღო ნაწლავის დაბალ ფასში შესაძენათ.

სომხეთის სავაჭრო სამმართველოსთან („არმენტორგთან") უკვე დადებულია ხელშეკრულება სააქციო საზოგადოებისთვის სომხეთის ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში დამზადებულ ცხვრისა და ძროხის ნაწლავის მთელი რაოდენობის მისყიდვის შესახებ. ასეთივე შეთანხმება მოხდა ნახიჩევანის ოლქის კოოპერატივთა კავშირთან. გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე გამოთქმული იყო სურვილი, რომ საქართველოს და აზერბეიჯანის რაიონებში ნაწლავის შესყიდვა სწარმოებდეს საკუთარი აპარატის საშუალებით, რისთვისაც საჭიროთ იქნა მიჩნეული, რომ რამოდენიმე მსხვილ „სანაწლავო" ცენტრში იჯარით იქნეს აღებული ქარხნები და სადაც ასეთები არ არსებობენ დაარსდეს საზოგადოების კონტრაგენტობა შინამრეწველებისაგან ნაწლავის შესაძენათ.

გარდა ამისა გამგეობას წარედგინა ძველ სპეციალისტ-მენაწლავეებისაგან ზოგიერთი კონკრეტიული წინადადება აზერბეიჯანიდან 200.000 ცალი ნაწლავის, ხოლო მთელი ამიერ-კავკასიიდან—600.000 ცალის მოწოდების შესახებ. საკითხი პირობების შესახებ გარჩეული იქნება უახლოეს სხდომაზე.

ქრონიკა

— **ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო საბჭოს სხდომა.** ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, 7-ნახ. საათზე საღამოს ჯანსახკომისარიატის შენობაში (საპიორის ქ. № 30, ოთახი № 15) შესდგება ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: 1) შესავალი სიტყვა; 2) დასაარსებელ დისპანსერის ამოცანები და მიზნები; 3) მომავალი ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო საბჭოს მუშაობა და 4) მიმდინარე საკითხები.

— **12 მილიარდი—გერმანიის პროლეტარიატს** შინაგან საქ. კომისარიატის ადგილკომის მიერ ბაღ „ახალ წრეში" გამართულ საღამოდან შემოსული 12 მილიარდი გადაიდო გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ.

— **განათლების მუშაკთა სახლი.** განათლების მუშაკთა სახლში მეცადინეობა განახლდება 16 ოქტომბრიდან. ამავე დღის შესდგება მაჰმადიანთა სკოლის მასწავლებელთა კრება.

— **პედაგოგიური ტექნიკუმი ბათომში.** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ ნება დართო განათლების სახ. კომისარიატს ბათომში გახსნას პედაგოგიური ტექნიკუმი.

— **პედაგოგიური კლასები სომხურ ტექნიკუმებთან.** პროფესიონალურ განათლების მთავარმმართველობის მოხსენების თანახმად განათლების კომისარიატთან არსებულმა საბჭომ დაადგინა მე-8 სომხურ ტექნიკუმთან გაიხსნას პედაგოგიური კლასები.

— **გერმანულ ტექნიკუმების გადაკეთება სპეციალურ ტექნიკუმებათ.** განათლების კომისარიატთან არსებულმა საბჭომ დადგინა, გერმანული ტექნიკუმები გადაკეთებულ იქნას სპეციალურ სამრეწველო-ეკონომიურ ტექნიკუმათ.

— **მასწავლებელთა შტატის გადიდება.** განათლების კომისარიატის დადგენილებით შესდგა კომისია განათ. კომისარის დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით და განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლის და სოც. აღზრდის მთავარ ინსტრუქტორის გ. ლევიცკის მონაწილეობით, რომელსაც დაევალა მოკლე ხანში წარმოადგინოს პროექტი რესპუბლიკაში მასწავლებელთა შტატის გადიდების შესახებ.

— **ჰიდრო-ელექტრონული სადგური რაჭაში.** რაჭაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაგებათ საქ. სახ. კომ. საბჭოსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: ნ. ენუქიძე, გოტეჩიშვილი, წულუკიძე, ჩოდრიშვილი, შამშე ლეჟავა, მ. ტორო-შელიძე და კობახიძე.

— **სესხად გაცემულ სათესლე მასალების მოგროვება.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის აგროდახმარების ქვე-განყოფილება სექტ. განმავლობაში შეუდგა სესხად გაცემულ სათესლე მასალების შეგროვებას აღმოსავლეთ საქართველოში და თესლეულობის გაწმენდას სარკევი მანქანების საშუალებით.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთება.** მიწად-მოქმედებას სახ. კომისარიატმა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლათ გადასდო 4.000 მანეთი ოქროთი.

— **საუბარი რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ.** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის მიერ მოსკოვში სასოფ.-სამ. გამოფენაზე მივლინებული აგრონომები დაბრუნდენ და ამჟამად სოფლებში მართავენ საუბრებს რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობის შესახებ.

— **ლექციები შემოდგომის სახეზონო მუშაობის შესახებ.** მიწ. მოქ. კომისარიატთან არსებული აგრო—დახმარების ქვე განყოფილებამ სოფლებში მოაწყო ლექცია-საუბრები შემოდგომაზე მიწის დახვნის შესახებ. ლექციები ამ თემაზე წაკითხულ იქნა აგრეთვე სამაზრო ქალთა განყოფილებებშიც.

— **მოხუცებულ მასწავლებელთა დაზღვევა.** განათლების კომისარიატმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა გან. მუშაკთა კავშირთან ერთად შრომის კომისარიატის წინაშე, რათა, როგორც გამონაკლისი, დაზღვეულ იქნენ მოხუცებული და ჯანმრთელობას მოკლებულნი მასწავლებლები პენსიის დანიშვნის მიზნით.

— **ანგარიშების გადატანა ჩერვონცებზე.** ქ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა 1923 წლის ყოველგვარი ანგარიშები გადატანილი იქნეს ჩერვონცებზე ოპერაციის დღის კურსის მიხედვით.

— **სულით ავადმყოფთა საავადმყოფო შენობის შეკეთება.** სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს შენობის შეკეთება უკვე დაიწყეს და რამდენიმე თვის შემდეგ საავადმყოფო მიიღებს ავადმყოფებს.

— **შრომის ბირჟა.** 13 ოქტ. აღრიცხვაზე გამოცხადდა 284 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—170. სამუშაოზე გაიგზავნა—39.

— **მწერალი ია ეკალაძე** აცხადებს, რომ მან ტფილისის რკინისგზის სადგურზე დაჰკარგა შეკვრა, რომელშიც, სხვათაშორის, იყო მისი უკანასკნელი ხელთნაწერები და ორი ლექსიკონი ჩუბინაშვილის და ი. იმედაშვილის. მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს ხელთნაწერები და ლექსიკონები, დანარჩენები თვითონ დაიტოვოს. მისამართი ყიფიანის ქ. № 31.

შემთხვევები

— **ბინის გაქურდვა.** 1-ლ სამილიციო უბანში 12 ოქტ. ღამით გაქურდეს მოქ. ნატალია ტატიშვილის ბინა, საიდანაც წაიღეს 6 მილიარდის ნივთები.

— **ქურდის შეპყრობა.** 12 ოქტ. შეიპყრეს ქურდი აივაზოვი, რომელსაც ბრალდება მოქ. თოფურიას ბინის გაქურდვა.

— **ქურდობა.** 12 ოქტ. გაქურდეს მოქ. ალექსანდრე პიპინაძის ბინა. წაღებულია რამდენიმე ასეული მილიონის ნივთები. ქურდები ჯერ არ შეუპყრიათ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ურიის ქალი".

პირველ „დიდ დღეს" სეზონის დასაწყისში მოელოდენ „კარმენ"-ის პირველ დადგმის დროს,—მაგრამ პირველი ბრწყინვალე გამარჯვება წილათ ხვდა გალევის ოპერას „ურიის ქალს". რასაკვირველია, არა ძველმა, საკმაოთ მოსაწყენმა „ურიის ქალმა" შექმნა „ოპერის დიდი დღე", არამედ მთავარ პარტიებში ისეთი მომღერლების გამოსვლამ, როგორიც არიან პანკრატოვა და მოსინი.

მოქ. პანკრატოვა პირველად მღერის ტფილისში და მან აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება თავისი მართლაც განსაკუთრებული ვოკალური და სცენიური ნიჭით. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ დიდიხანია ტფილისის საოპერო სცენაზე არ ყოფილა ასეთი ყოველმხრივათ ნიჭიერი დამთავრებული მომღერალი ქალი. ყოველ შემთხვევაში ასეთია შთაბეჭდილება მისი პირველი გამოსვლის შემდეგ „ურიის ქალში".

მსახიობს ფართო დიაპაზონის ნამდვილი დრამატიული სოპრანო აქვს; განსაკუთრებით კარგია მაღალი რეგისტრები, ფრაზიროვკა დამთავრებულია. ამასთან ერთად მსახიობს აქვს სცენიური გარეგნობა, პლასტიკა, მუსიკალური გრძნობა და ტემპერამენტი. ასეთი მსახიობის შეძენა მეტათ სასიხარულოა. რახილის ჩვეულებრივ პარტიიდან მსახიობმა შექმნა ცოცხალი სახე.

მოქ. მოსინი ტფილისში მღეროდა რამოდენიმე წლის წინეთ. დროს სრულებით არ დაუსვია დაღი მის ხმაზე—ის მძლავრი და ხმოვანია, როგორც წინეთ. კიდევ მეტი, მსახიობი ეხლა თითქოს უფრო დამთავრებულათ მღერის. მეტად ლამაზია მაღალი რეგისტრები; მსახიობი თავისუფლათ იღებს მაღალ ნოტებს. ფინალის მშვენიერმა დუეტმა პირველ მოქმედებაში (მოქ. მოსინი და პანკრატოვა) აღტაცება და მხურვალე ტაში გამოიწვია საზოგადოებაში. მაგრამ მოქ. მოსინის ხმა კარგია არა მარტო მაღალ რეგისტრებში, ის თანაბარი სილამაზით ბგერს დიაპაზონის მთელს სიგრძეზე.

მეტათ კარგია ფრაზიროვკა და დიქცია,—სცენიური გადმოცემაც ამოცანის სიმაღლეზეა. პოპულიარულმა არიამ „რახილ, შენ ღმერთისგან ხარ ჩემთვის გამოგზავნილი" ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე, რომელმაც მხურვალე ოვაციები გაუმართა მსახიობს არიის შემდეგ.

ლეოპოლდის პარტიაში გამოვიდა მოქ. ზავალოვი. ეს პარტია მეტად ძნელია; აქ საჭიროა ხმის დიდი ტეხნიკა და მუსიკალობა. ჩვეულებრივ ამ პარტიას მღერიან მეორე პერსონაჟები და პირველათ შესრულდა ის პირველ პარტიების მსახიობმა.

შესრულებული იყო სერენადებიც პირველ მოქმედებაში, რომელსაც ჩვეულებრივ სტოვებენ სიძნელის გამო (აქ თითქმის კოლორატურაა საჭირო). რაც მეტს უსმენ მოქ. ზავალოვს, მით უფრო რწმუნდები, რომ მის სახით ჩვენ გვყავს დიდი მუსიკალური და ვოკალური ნიჭი.

ჩვეულებრივათ მეტად კარგათ შეასრულა კარდინალ დე-ბრონის პარტია მოქ. ისეცკიმ.

ნიჭიერი დემიანენკო უმნიშვნელო პარტიიდან ყოველთვის შესძლებს მინიატურის შექმნას.

ოპერა კარგათ იყო დადგმული, განსაკუთრებით მასიური სცენები.

დირიჟორობდა ვანო ფალიაშვილი; არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მაესტროს ზოგიერთ tempo-ში (უვერტიურა, რახილისა და ელიაზარის დუეტი).

მუსიკოსი.

— **რკინისგზის მუშა-მომღერალთა გუნდი.** რკინისგზის მუშათა კავშირის კულტ. კომისიამ მოიწვია მომღერალი სვანიძე მუშა-მომღერალთა გუნდის მოსაწყობათ.

— **სახ. კონსერვატორია.** ოქტ. 9-ს სახ. კონსერვატორიაში დაიწყო მეცადინეობა. სახ. კონსერვატორიის გამგეობამ დაადგინა მიმდინარე წელს დაარსოს კიდევ მუშათა ორი ფაკულტეტი კონსერვატორიასთან—ერთი ავლაბარში, მეორე—ნაძალადევში.

— **სახელმწიფო დრამის სეზონის გახსნა.** ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, რუსთაველის თეატრში გაიხსნება სახ. დრამის სეზონი. წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის პიესა „გაყრა". პიესას დასდგამს რეჟისორი მარჯანიშვილი. ამ პიესისათვის საგანგებოთ დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

— **კინო-თეატრი მუშებისათვის.** გემო-კვების კავშირმა გახსნა კინო-თეატრი კავშირის წევრებისათვის.

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** მუშათა ცენტრალურ კლუბში ქართული წარმოდგენების სეზონი გაიხსნება 1 ნოემბერს.

— **ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელი.** ტფ. მეორე კონსერვატორიის ინსპექტორის ილ. აბაშიძე დაინიშნა ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად.

ჩვენი თეატრის ბედ-იღბალზე

რამდენი ხანია ქართულ თეატრზე ანგარიშ-გასაწევი სიტყვა აღარ დახარჯულა!

რისი მიზეზია?

ნუ თუ აღარავის შესტკივა გული მის ბედ-იღბალზე?

ან ქართული თეატრის საქმე ისე საუცხოვოდ მოეწყო, რომ ყველას შეუძლიან დამშვიდებით წამოწვეს მხართეძოზე?

სრულიადაც არა!

ჩვენს თეატრს დღეს უფრო ესაჭიროება გულწრფელი მქადაგებელნი.

დღეს უფრო აუცილებელია გულმოდგინე მესაყვირენი, რომ მისი რყევით მოცურავე ნავი გაიყვანონ შემოქმედების დამკვიდრებულ ნაპირზე:

დღეს ჩვენი მთავრობის დახმარებით დიდი ქონებრივი და ტეხნიკური შესაძლებლობა გვაქვს, რომ ყოველი ჩვენი კეთილი ზრახვა ქართული თეატრის ცხოველმყოფელობაზე ბრწყინვალე გამარჯვებით დავაგვირგვინოთ.

მაგრამ რატომ ხმას არ იღებს კრიტიკა?

რატომ არ სარგებლობს ხელისუფალთა ასეთი კეთილგანწყობილებით?

რათ დაუდვია უშველებელი კლიტე სამეტყველოდ მინიჭებულ ბაგეზე?

აქ მიზეზი იმ საერთო გულგატეხილობაშია, რომ ჩვენი თეატრის მესვეურები ძალიან ძნელი მოსანათლი ხალხია და ადვილად ვერაფერს ვერ შეაგნებინებ.

ამიტომ ბევრი უანგარო მოსიყვარულე ჩამოშორდა ქართულ თეატრს.

მის ასპარეზზე ხშირად ვხედავთ ისეთ ხალხს, რომელიც თეატრის საქმეს უცქერის როგორც ხელობას და აგრეთვე ცხოვრების საარსებო წყაროს.

შეიძლება ჩვენი თეატრის დღევანდელმა ჭირისუფლებმა ითაკილონ კიდეც ასეთი გადაფასება.

მე ბოდიშს ვიხდი!

მაგრამ ჩემი აზრის გამოსამჟღავნებლად ამაზედ რბილი გამოთქმა დიდ დათმობათა და სისუსტედ მივიჩნიე.

მაინც რაში შეიძლება დავდოთ ბრალი ამ ჩვენგან ათვალისწუნებულ თეატრის ჭირისუფლებს?

— წაიკითხე განცხადება მომავალი სეზონის რეპერტუარისა.

ოც ავტორთა შორის მხოლოდ ოთხი დავითვალე ორიგინალური.

ეს იმას ნიშნავს: თექვსმეტი პიესა ნათარგმნია.

მეც მაშინათვე უნებლიედ აღმეძრა სურვილი ამ წერილის დაწერისა.

I

სხეული და სული.

რა არის თეატრი?

ამის გარშემო სიტყვათა ჯამბაზობა არც მე მესაჭიროება და არც გულმოდგინე მკითხველს.

აქ შეიძლება ბევრი ისეთი აზრი გამოვსთქვა, რაც ძალიან საკამათო იქნება ყველასათვის. ან რაც ძალიან ხშირად გადახურდავებულა წიგნებისაგან და ჩემი განმეორება კი მხოლოდ კბილმოჭრილ სიბრძნედ ჩაითვლება.

თეატრის შესახებ მრავალი შეხედულებაა. მეტადრე ამ დროებაში, როცა ყველა ყოყლოჩობს თავის საკუთარი და ახალი შეხედულებით.

განსაკუთრებით ეს აზრთა სიმრავლე გამოიხატება თეატრის ტეხნიკურ და ფორმალურ არეულებაში.

მაგრამ მე მაინც უნდა მივუთითო მკითხველს ერთს თვით სათავიდან მომდინარე ჭეშმარიტებაზე:

თეატრი—ეს არის თვალსაჩინოდ შეხმატკბილებული ზეიმი ხელოვნების სულისა და სხეულისა.

ყოველმხრივად დამთავრებული, უმაღლესი ზეიმი, რომელსაც ადამიანი განიცდის პირისპირ თავისი სმენით, მხედველობით, აზრით, გრძნობით, გემოვნებით და ყველა იმ საიდუმლოებით, რომელიც ანდამატურ ძლიერებით ენათესავება ხელოვნების შექმნას.

სულისა და სხეულის შეხმატკბილება!

ეს არის ქვაკუთხედი თეატრის არსებობისა.

სული—ეს ნაწარმოებია, თეატრს რომ ეუფლება.

სხეული—ეს ტეხნიკაა ამ ნაწარმოებთან შერჩეული, რომ იგი გაჰხადოს მსმენელისათვის უფრო გასაგები და საამურ-სახიბლავი.

ჯერ უნდა ხელში გეჭიროს ლამაზი, ძლიერი, შენთვის ნათესაური, ძვირფასი სული და მხოლოდ ამის შემდეგ გეძლევა საშუალება, რომ შენი გარეგანი სამკაულებით შარავანდედი მოჰფინო მის გამარჯვებას.

მაშ როგორც ვხედავთ—რეპერტუარისა და ტეხნიკური მხარის ერთმანეთისაგან დაშორება ყოვლად შეუძლებელია.

მართალია, საფუძველი რეპერტუარია, მაგრამ თუ რეჟისურაც კვალდაკვალ არ მისდევს და არ აცხოველებს თავისი უნარით, მაშინ თეატრი სნეულდება, ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და მისი ვარსკვლავიც ჩქარა მოსწყდება ცხოვრების ციდან.

ლევ. მეტრეველი.

„ახალგაზრდა მარქსისტების" დაშლა

(წერილები რედაქციის მიმართ)

I.

ჩვენ, ტფილისის მე 3-მე რაიონის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრებმა, გავითვალისწინეთ რა, რომ ყოფილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მასსა დაუკავშირდა მსოფლიო პროლეტარიატს, რომლის მთავარი შტაბი არის მე 3-მე ინტერნაციონალი და დავინახეთ რა, რომ მხოლოდ კომუნისტურ პარტიას უკავია დროშა კაცობრიობის განთავისუფლებისა კაპიტალიზმისაგან—ვტოვებთ მარქსისტთა ორგანიზაციის რიგებს და ვდგებით საბჭოთა პლატფორმაზე.

გაუმარჯოს მე 3-მე ინტერნაციონალს

ჟღენტი პავლე, შავიშვილი შალვა, მუსერიძე შაქრო, ღრუბელაძე ნიკოლოზ, კირეულიშვილი ნიკოლოზ, დარისპანაშვილი გიორგი, ერაძე ალექსანდრე, სანდომისაშვილი სოფიო, გიდევანიშვილი ალექსანდრე, ქადაგიშვილი სოლომონ, ჩუხრუკიძე რევაზ, შენგელია ლუკა, ქუშაშვილი ალექსანდრე, კიკნაძე, კრიჟაშვილი ელენე, ანდრიაძე მარიამ, პაატაშვილი ვახტანგ, პეტრიაშვილი, ფირხალავა ოლია, ვარსიმაშვილი არჩილ, ჯამასპაშვილი შალვა, გონდაური, ზეჟანოვა გოჰარიკ, წერეთელი გიორგი.

II.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩვენს განცხადებას:

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერთ, საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრებს მიუტევებელ დანაშაულად და ღალატად მიგვაჩნია დარჩენა საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია იმყოფებოდა მენშევიკური პარტიის სრული გავლენის ქვეშ და მონაწილე და პასუხისმგებელია ყველა იმ ავანტიურისტულ და მოღალატურ მოქმედებებში, რომელიც ჩაიდინა ამ პარტიამ მსოფლიო პროლეტარიატისა და კერძოთ საქართველოს მუშებისა და გლეხების მიმართ.

ამიტომ სრულიად შეგნებულად ვსტოვებთ ხსენებულ ორგანიზაციას და მოუწოდებთ საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ყველა წევრებს [illegible] გები და კომუნისტურ ახალგაზრდობასთან ერთად დასდგენ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ძირს ფაშიზმი!

ძირს 2 ყვითელი ინტერნაციონალი!

გაუმარჯოს გამოფხიზლებულ ახალგაზრდობას, რომელიც სდგება კომინტერნის დროშის ქვეშ.

გაუმარჯოს კომპარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას!

ვასილი გიორგის ძე ცერცვაძე, შალვა ალექსანდრეს ძე შეყრილაძე, ევგენი გიორგის ძე ჩიქოვანი, დავით ნესტორის ძე მუჯირი, შალვა იოსების ძე ჭელიძე, ისიდორე გაბრიელის ძე მანწკავა, ანნა ციცაგი, პატარაია აკაკი ივანეს ძე (თანამგრძნობი).

III

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს №-ში გამოაცხადოთ შემდეგი:

მე ვირიცხებოდი საქარ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში 1917 წ.—1920 წ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე ნათლად დავინახე, თუ როგორ გახრწნის გზაზე მიჰყავდა ჩვენი ახალგაზრდობა ახალგაზრდა მარქს. ორგანიზაციას. ამ სამი წლის განმავლობაში 1921 წ. ჩვენ ნათლად დაგვანახა კომუნისტურმა პარტიამ თავისი მოღვაწეობა და ნათლად ვხედავთ, რომ ერთად-ერთი გზა პროლეტარიატისა სოციალიზმისაკენ ეს არის გზა, რომლითაც მიდის კომუნისტური პარტია, რომელიც იბრძვის მშრომელთა ინტერესების დასაცავად. ჩვენ ეხლა კარგათ დავინახეთ, რომ მატყუარა მენშევიკებმა სამი წლის ბატონობის დროს გასცეს საქართველოს პროლეტარიატი.

სრულიად შეგნებულად ვსტოვებ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას და უერთდები კომუნისტურ ბანაკს.

ძირს მენშევიზმი!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

მიშა ჯაში.

პროვინციაში

საზოგადოებრივი თუ კუთხური ინტერესი

(რკინისგზის სამმართველოს საყურადღებოთ და იანეთელების საპასუხოთ—პლატფორმა იანეთის სადგურად გადაკეთების გამო).

გაზ. „კომუნისტის" № 222 მოთავსებულია ქრ. ქუთათელაძის კორესპონდენცია ს. იანეთიდან, სადაც ზეიმით ჩაუტარებიათ 30 აგვისტო, ამ დღეს დაწყებულა იანეთის სადგურად გადასაკეთებელი მუშაობა.

რა თქმა უნდა, ამ ამბავს ყველა დიდის სიხარულით შეხვდება, ნამეტურ იმ მიდამოების მოსახლეობა, ვინაიდან ეს არის დიადი ნაბიჯი ეკონომიური წარმატებისაკენ. ხოლო ამგვარი ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმის დროს საჭიროა შვიდჯერ გაზომვა და ერთხელ გადაჭრა, რომ საკითხი სწორათ გადიჭრეს.

ეჭვს გარეშეა, რომ იანეთის სადგური გაცილებით მეტმნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე მახლობელი კოპიტნარი და მუხიანი, მაგრამ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ ის კიდევ მეტმნიშვნელოვანი ყოფილიყო, ვიდრე ის იქნება ეხლა, ე. ი. ეს სადგური უნდა ყოფილიყო ერთნაირად ხელმისაწვდომი არა ასისთვის, არამედ, ასორმოცდაათი მოსახლისთვის (ეს ციფრი მხოლოდ მაგალითისთვის არის მოყვანილი, რომელიც გამოხატავს სადგურის ეხლანდელ და სასურველ სარგებლობას).

რომ ეწრის თემისთვის ცოტაოდენი ანგარიში გაეწიათ, სადგური იანეთი იქნებოდა უაღრესათ დიდმნიშვნელოვანი.

რას ითხოვდა ეწრის თემი და რას არ გაუწიეს ანგარიში არც რკინის გზის სამმართველომ და არც მეზობელ იანეთმა, რომელიც პირველთან განუყრელათ დაკავშირებული იყო დიდი ხნის განმავლობაში ჭირსა და ლხინში.

ეწრის თემი ითხოვდა სადგურის გადაწევას სამტრედიისკენ მიახლოვებით ერთი ვერსის მანძილზე.

ორი პრინციპი, რომლითაც მხოლოდ და მხოლოდ უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეში, განხორციელდებოდა ეწრის თემის სურვილებთან ერთად.

1. სადგური სამსახურს გაუწევდა მოსახლეობის გაცილებით მეტ ნაწილს, ვიდრე ეხლა და 2. სახელმწიფოს და ხალხს ეს სადგური დაუჯდებოდა გაცილებით უფრო იაფათ, ვიდრე ეხლა. და ამავე დროს საწყენი და საზიანო არავისთვის არ იქნებოდა.

შედარება ნათელყოფს ერთს უპირატესობას მეორის წინაშე. ის ადგილი, სადაც ეწრის თემი ითხოვდა სადგურის აგებას, უნდა იყვეს, თუ არ ვცდები, მე-66 ვერსზე.

1. მე-66 ვერსი არის სწორედ შუა გზა კოპიტნარსა და სამტრედიას შორის, ეხლა კი კოპიტნარიდან პლატფორმამდე არის ოთხი ვერსი, ხოლო პლატფორმიდან სამტრედიამდე შვიდი

2. მე 66 ვერსი ზეგანი ადგილია წყაროს წყლებით და უკეთესი ჰავით, ხოლო ეხლანდელი პლატფორმა ჩავარდნილი და ჭაობიანი ადგილია და ჰაერიც უარესი.

3. მე 66 ვერსზე მიწას შეზვინა ერთ არშინზეც არ სჭირდება, ეხლანდელ პლატფორმასთან კი ერთი საჟენის სიმაღლეზე მაინც უნდა დაიყაროს მიწა, რომ სადგურად გამოდგეს. ეს კი მოითხოვს უამრავი ენერგიის დახარჯვას ფუჭად.

4. მე 66 ვერსზე სადგური გარშემორტყმული იქნება მჭიდროთ დასახლებული სოფლებით: სამხრეთით—ახალისოფელი, ცოტა დაშორებით რიონს გაღმა—ტობანიერი და ვანის მდიდარი თემი, ჩრდილოეთ-დასავლეთით—ეწერი და ჯიქთუბანი, ხოლო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით—დიდი ჯიხაიში და იანეთი; ეხლანდელი პლატფორმა კი მიყრუებულ ადგილას არის. მიუხედავათ მისი ხანგრძლივი არსებობისა, იქ მხოლოდ ორიოდე და ისიც ცარიელი დუქანია. ერთ დროს ბაზრობაც კი დააწესეს, მაგრამ ვერ იხეირა და სავაჭრო შენობებიც ლპება და დაინგრა.

5. მე-66 ვერსი სრულიად ხმელი ადგილია; ეხლანდელი პლატფორმის ნაკლს ემატება კიდევ გუბის წყლის ხიდი. მისი სიმაღლის გამო (და ტეხნიკოსების აზრით კიდევ უნდა აიწიოს) ტფილისისაკენ მომავალ მ

მუშათა ცხოვრება

პირველი ტყავის ქარხანა, ამხ. ლენინის სახელობაზე

აღნიშნული ქარხნის მუშებმა განიზრახეს აეშენებიათ თეატრი—ამხ. ვოროვსკის სახელობაზე და კიდევაც შეუდგენ მუშაობას. უკვე დაიწყეს შენობის გარდაკეთება სათეატრო ნიადაგზე 1923 წ. ადგილობრივი ქარხნის კომიტეტი არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდა და ამ საზიზღარ სიძვირეში მაინც აწვდიდა მასალას, ოღონდაც კი აეშენებინათ ეს სახალხო ტაძარი. ნათქვამია: „ბევრი ხელი და ერთი პირი, მთასაც კი გადმოაბრუნებსო". ასეცა ჰქნეს ადგილობრივმა მუშებმა და ერთი ლამპარი კიდევ აენთო თბილისის განაპირა უბანში, რომელმაც თავისი სხივი უნდა მოჰფინოს ორთაჭალის ბნელ კუნჭულებს, რომელიც გზადაბნეულთ უჩვენებს სწორ და ჭეშმარიტ გზას; თეატრის შენობა შეგვიძლიან ჩავთვალოთ დასრულებულად და ამ ახლო ხანში აქ დაიწყება წარმოდგენები. მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მოთავენი და თანამშრომელნი, რომელთაც ვუსურვებთ გამარჯვებას ყოველ კეთილ საქმეში. რათა ასეთის ენერგიით და თავდადებულად ემუშავათ, მუშათა ინტერესების დასაცავად.

მუშა წოგიანოვი.

იშვიათი კრება

ასეთი იშვიათი კრება, როგორიც მოხდა 11 ოქტომბერს თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"ს მუშებისა, სიმართლე უნდა ვსთქვა, კარგა ხანია, არ ახსოვს ჩვენს ქარხანას. უმთავრეს საკითხად ამ კრებაზე წამოყენებული იყო გერმანიის პროლეტარიატის შესახები. აქ დღეს ყველა მუშები თითქოს ერთ სისხლხორციდან იყვნენ შემდგარი, ყველა ერთსა ფიქრობდნენ და საერთოდ ერთი ფიქრი უტრიალებდათ თავში, რომ გერმანიის მუშათა კლასის გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა და მათი დამარცხება კი ჩვენი რევოლუციისათვის ერთგვარ საფრთხეს ამზადებს. ასეთი აზრით იყვნენ გამსჭვალულნი ჩვენი მუშები, როდესაც ამხანაგი კოგანი ნათლად და ძკაფიოდ უხსნიდა ჩვენს მუშებს გერმანიის მუშათა დღევანდელ კრიტიკულ მდგომარეობას. მოხსენების დასასრულს ჯერი მიდგა მუშებზე; რომ მათ გადაეწყვიტათ გერმანიისთვის დახმარება. მუშები ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ, რომ, რაც შეიძლება, თვალსაჩინო დახმარება გაეწიათ მათ გერმანელ ამხანაგებისათვის. დასასრულ ხმის უმრავლესობით გადაწყდა ამ მიზნისთვის გადაიდოს ჯერ ჯეროვნით დღიური შრომის ხელფასი და თუ საჭირო იქნება, ყოველთვიურად მუდმივ ვიდრე გერმანიის მებრძოლი პროლეტარიატის ბრძოლა სრული თავისუფლების მოპოვებით დაგვირგვინდებოდეს, დღიური ხელფასის გადადება მომავალშიც. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"ს, მუშებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კოგანისა, გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციის შესახებ, ამისათვის ჩვენც ჩვენის მხრივ, ვიწვევთ ყველა დარგის მშრომელთა მასას, რომ ყოველივე საშვალება მოვიხმაროთ. რათა ხელი შეუწყოთ ამ მძიმე ბრძოლის მომენტში გერმანიის მუშათა კლასს, წინააღმდეგ—ევროპის მტაცებელ კაპიტალისტების მოტანილ იერიშზე.

ძირს გერმანიის კონტრ რევოლიუციონური ორგანიზაციები! ძირს შავი რეაქცია! გაუმარჯოს გერმანიის მუშებს! გაუმარჯოს პროლეტარულ დიქტატურას გერმანიაში! გაუმარჯოს გერმანიის კომპარტიას!

გაუმარჯოს გერმანიის მოწინავე ამხანაგებს!

მუშკორი იგ. ბ—შვილი.

ჩვენ რაღა დავაშავეთ?

(ალმასკომის საყურადღებოდ)

გაზ. „კომუნისტ"ში № 178, იყო დაბეჭდილი მუშა ტ. კორძაიას წერილი შემდეგი სათაურით: „მუშათა ქუჩებს განათება სჭირდება". მესამე დღესვე ხსენებულ გაზეთში იყო მოთავსებული ქრონიკაში პატარა ცნობა, რომ ალმასკომი შეუდგა დაუყოვნებლივ მუშათა ქუჩების განათებას. ეს რომ წაუკითხე ჩვენი უბნის მუშებს, იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და გაიძახოდნენ: „არიქა, ჩვენც გვეშველა!"-ო და მეც მადლობას შეუთვლიდენ ჩვენი მუშების მათი პირ-ვარამის გაზეთში გამოქვეყნებისათვის. შემდეგ „კომუნისტ"-შივე წავიკითხე ალმასკომის მუშაობის ანგარიში და ძალიან გაგვეხარდა, რომ მას ბევრი უმუშავნია მუშათა უბნების გაუმჯობესებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენ კი გამოვრჩით ალმასკომს. რა მოსაზრებით, ან და რაღა დავაშავეთ არ ვიცით.

ორთავენახევარია სწორედ იმის აქეთ, რაც ზემოხსენებული წერილი დაიბეჭდა „კომუნისტ"-ში და დღემდის კი ჩვენი უბანი და ქუჩები ისევე ბნელეთით არის მოცული.

პირდაპირ აუტანელია ჩვენი მდგომარეობა. წარმოიდგინეთ, ჯერ ქუჩები არ გვიფარგა და ისინიც ბნელია; რომ ამოიაროთ **„წყაროს უბანში"** **(ც. ტ. ტარიელოვის ქუჩაზე)**, გეგონებათ რომ, ფუნიკულიორის გორაზე მიდიხართ, აქ ყოველ დღე თქვენ შეხვდებით მუშების და მეურმეების ჩხუბს. როდესაც მეურმეებს შეშა ამოაქვთ, ისინი პირდაპირ შეგებრალებიათ. ზაფხულში კიდევ რამენაირად კაცი აიტანს ამ მდგომარეობას, მაგრამ ზამთარში აქაურობა, სწორედ ჯოჯოხეთია. ზამთარში მუშები სიარულის ნაცვლად დაჯდებიან თოვლზე და პირდაპირ—„გორვით" ჩამოდიან პავლოვაძის ქუჩამდის. ფეხით სიარული ამ დროს ყოვლად შეუძლებელია, მეტადრე ყინულის დროს.

მუდამ დღიურათ გაზეთების ფურცლებს, თვალი რომ გადავავლოთ, მუშათა ქუჩებზე და უბნებზე სულ იმას ვკითხულობთ, რომ ისინი არიან „ბნელი, ბინძური და უვარგისი ქუჩები და უბნები". ამას, მე მგონია, ალმასკომიც კითხულობს (ვალდებულიც არის, რომ იკითხოს) და მიკვირს, ის რატომ არ აქცევს სერიოზულ ყურადღებას მუშათა სამართლიან ხმას.

მე მთელი უბნის მუშა ხალხის დავალებით ვთხოვ ალმასკომს, მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ჩვენს ჯურღმულში და ბნელეთში ჩავარდნილ უბანს და ქუჩებს. მე ვითხოვ, ალმასკომმა ამოირჩიოს კომისია 3 კაცისაგან და დაათვალიეროს ჩვენი ქუჩები, რომ ნამდვილად დარწმუნდეს, თუ რამდენადაც სწორეა ჩვენი გოდება.

ჩვენს ობოლ და ბნელ ქუჩებს მეტი ყურადღება ეკუთვნის ალმასკომისაგან.

მუშკორი ახოთ-ამწყობი.

ჩვენს ადგილკომებში

(„ზაკტპო"-ს ადგილკომის მუშაობიდან).

ამ თვე ნახევრის წინედ „ზაკტპო"-ს თანამშრომლები, რომლებიც გულის ძგერით ირჩევდნენ ახალ ადგილკომს და მასზედ ამყარებდნენ მთელ იმედებს თავისივე ინტერესების დასაცავად, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ადგილკომი ასე ენერგიულად შეუდგებოდა მუშაობას და ესე ერთგულად დაიცავდა თანამშრომლების ინტერესებს. არჩევის დღიდანვე ჩვენი ადგილკომი ენერგიულად შეუდგა მუშაობას და მოკლე ხანში დიდი რამ გააკეთა: უპირველესად ყოვლისა ჩვენი ადგილკომის შუამდგომლობით, 16 კაცი თანამშრომლებისა გადაყვანილ იქნა უმაღლეს ხარისხზე; შემდეგ გადასინჯულ იქნა კოლექტიური ხელშეკრულება, რომელშიაც შეცვლილია 9 მუხლი თანამშრომლების სასარგებლოდ და ჯამაგირები გადიდებულ იქნა თითქმის 50 პროცენტით; ამას გარდა ადგილკომმა იზრუნა შეშაზედაც იგი უკვე დამზადებულია და ამ მოკლე ხანში დაურიგდება „ზაკტპო"-ს მუშა-მოსამსახურეებს ბინაზედ მიტანით ხელსაყრელ და დაკლებულ ფასებში; შეშის ღირებულება კი ჯამაგირებიდან იქნება დაკავებული 8 თვის განმავლობაში.

არ დასტოვა უყურადღებოდ ჩვენმა ადგილკომმა მივიწყებული აქამდის, კულტურული მუშაობაც და მისივე ინიციატივით ახლო მომავალში განზრახულია „ზაკტპო"-ს თანამშრომლების კლუბის გახსნა: რისათვის უკვე არსდება დრამატიული, მუსიკალური, სალიტერატურო და სხვა წრეები. თანამშრომლების ხარჯზე შეძენილია პიანინოც; ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო ამ საქმეს და დაუთმო თანამშრომლებს კლუბის მოსაწყობად ერთი დიდი ოთახი „ზაკტპ"-ოს შენობაში. დანარჩენ ხარჯის გაღებაში კლუბის მოსაწყობად დახმარებას გვიწევს პროფკავშირი

აღტაცებით და სიხარულით შეუდგნენ ჩვენი თანამშრომლები კლუბის მოწყობას და ოქტომბრის დიდი რევოლიუციის დღესასწაულისთვის განზრახულია კლუბის საზეიმო გახსნა.

ქება და ღრმა მადლობა ჩვენს ადგილკომს. მისი მუშაობა სწორედ ნაყოფიერი და მისაბაძია.

მუშა—ქალი რ—დან ქ.

მუშათა ცენტრალურ კლუბში.

ა. წ. 2 ოქტომბერს დანიშნული იყო მუშათა ცენტრალურ კლუბის წევრთა საზოგადო კრება. და სანამ კრება გაიხსნებოდა კლუბის სცენაზე გაიმართა კონცერტი, საქართ. პროფკავშირთა საბჭოს შერეულ გუნდის მიერ ლოტბარ კალანდაძის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნა ქართულ რუსული რევოლიუციონურ-ხალხური სიმღერები, კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კლუბის წევრებზე.

შემდეგ საღამოს 8 ნახ. საათზე გაიხსნა კრება, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მელითონე-მუშა ამხ. მაქსიმოვი, მდივნად ამხ ი. ელიაშვილი. დღიურ წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: მ. ც. კ. გამგეობის საინფორმაციო მოხსენება. კლუბის გამგეობის სახელით საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ჭელიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა გამგეობის მუშაობა უმთავრესად კულტურულ დარგში. კლუბის სამეურნეო ნაწილი მოითხოვს უამრავ ხარჯებს, რაც მას არ მოეპოვება. მას უხდება სხვადასხვა გადასახადების გადახდა. კლუბის სამკითხველოს საქმე მოწესრიგებულია, შეძენილია ახალი ლიტერატურა სხვადასხვა დარგიდან. მომხსენებელი მოუწოდებს წევრებს აქტიურ მუშაობისაკენ.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

კრების შემდეგ, კლუბის წევრთათვის გაიმართა უფასო წარმოდგენა რუსულ ენაზე; დადგმულ იქნა ერთ მოქმედებიანი პიესა თანამედროვე ცხოვრებიდან; კარგები იყვნენ მსახიობი ქალი ვიქტოროვისა და მსახიობი ბარმატოვი; ზლობინმა როლი არ იცოდა და რაღაც ეჩოთირებოდა.

საერთოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. სასურველია, რომ კლუბის გამგეობამ ასეთი კრებები ინფორმაციის სახით თვეში ერთხელ მაინც მოაწყოს, მაშინ კლუბის წევრები უფრო დაახლოვდებიან ერთმანეთს ერთ პროლეტარულ-კულტურულ ოჯახში და აქტიურ წევრებადაც გახდებიან კლუბის მუშაობაში.

მუშკორი მელითონე.

მტვირთველ მუშებში

10 ოქტომბერს ტფილისის საქ. სადგურზე მოხდა ტვირთმზიდავ მუშების შეერთებული კრება. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ა. მახარაძე, მდივნად ს. კალანდაძე კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კარლო ორაგველიძემ. მან გააცნო კრებას გერმანიის დღევანდელი მდგომარეობა და მუშათა კლასის გასაჭირი, რომელიც არის ვერსალის ზავის შედეგი. მან აღნიშნა ის ცვლილებები, რომელიც მოხდა ვილჰელმის ტახტიდან გადადგომის შემდეგ. ბურჟუაზია, რომელმაც აიღო ქვეყნის მართვა გამგეობის საქმე, გერმანიის მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად შეეცადა სოციალ-შეთანხმებლებთან ერთად შექმნა კოალიციონური მთავრობა იმ იმედით, რომ მუშათა წარმომადგენლების მთავრობაში ყოფნით მათ საფრთხე აეცდინათ.

კუნოს და შტრეზემანის მთავრობამ ვერავითარი კმაყოფილება ვერ მისცა მუშა ხალხს. რურის ოკუპაციამ და მარკის დაცემამ ეკონომიურად გამოუსვლელ მდგომარეობაში ჩააყენა გერმანიის მუშა და გლეხი ამისათვის ჩვენ სრულის იმედით ველოდებით იქაურ მდგომარეობის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ შეცვლაზე.

მოხსენების გამო კრება ერთხმად ერთი დღის შრომის ხელფასს სდებს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და თავის რეზოლიუციაში კრება უსურვებს გერმანიის პროლეტარიატს სრულ გამარჯვებას.

მუშა ხიდიხთაველი.

კინო თეატრების მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ა. წ. 1 სექტემბერს დაკეტილი კინო „ვარსკვლავი" ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს თავისთავზე, რისთვის დაარსეს „კოლექტივიც", და ისევ გააჩაღეს აქ კინოში მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხსენებული კინოს შემოსავალი ძალიან ნაბლებია და დღიურ ხარჯებსაც ძლივს ფარავს. მართალია, სახალხო განათლების კომისარიატის კინო-სექციამ გაუწია მუშებს ანგარიში და შესაძლებელი დახმარებაც მისცა მათ, მაგრამ იმავე კოლეგიამ მუშებთან ხელშეკრულებაში შეიტანა ისეთი მუხლი, რომლის ძალით კოლეგიის სასარგებლოდ უნდა გადაიდოს ათი პროცენტი შემოსავლისა. ეს კი დიდს თანხას ართმევს კინოს და მუშებსაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა კინო-სექციის კოლეგიამ მიაქციოს ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება და გააუქმოს ხსენებული მუხლი ათი პროცენტის ანარიცხის მოხსნით. ამით ჩვენს მუშებს მიეცემათ არსებობის საშუალება, ვინაიდან მათი ცხოვრება აუწერელია და ფრიად უნუგეშო. იმედი გვაქვს, მიაქცევენ ყურადღებას მუშების კანონიერ მოთხოვნილებას კინო-სექციის კოლეგიის მოწინავე ამხანაგები და გაუმჯობესებენ „კინო ვარსკვლავის" მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებას.

მუშკორი გ. მ—შვილი.

ტარებლებს უჭირს ადგილიდან დაძრა გაჩერების შემდეგ. ყოფილა შემთხვევა, რომ მატარებელი გაგლეჯილა მოძრაობის დროს.

6 ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი პლატფორმიდან ხონამდე რკინისგზის გაყვანის შესახებ. ეს ალბად კიდევ გახდება შემდეგში მსჯელობის საგნათ. მე-66 ვერსი ამ მიზნისათვის საუკეთესო ადგილია. აქედან გაემართება ხონისაკენ სწორი ლიანდაგი, ევლის სულ მჭიდროთ დასახლებულ სოფლებს შუა და ამავე დროს არ შეაწუხებს არც ერთ მოსახლეს.

მე-66 ვერსი სასარგებლოა დიდი რაიონისათვის და ამავე დროს მანძილი არ უგრძელდება არც ერთ დაინტერესებულ მხარეს. მართალია, აღმოსავლეთ თიანეთის პატარა ნაწილს დაშორდება სადგური სულ დიდი ერთი ვერსით ეხლანდელი ნახევარი ვერსის ნაცვლად, სამაგიეროთ იანეთის დიდი ნაწილი არჩევს მე-66 ვერსს, რადგანაც სადგური კარზე ექნება.

გარდა ამისა ჯიხაიშიდან მე-66 ვერსამდე და აქედან ახალ სოფელში გაყვანილია მშვენიერი ხუთ საჟენიანი გზატკეცილი, რომლის მზგავსი თავის სისწორით და სიფართით ახლო-მახლო არ მოიპოვება.

ამრიგათ, საზოგადოებრივი მხარე და უდრესათ ტეხნიკური მოსაზრებანი მოითხოვენ სადგურის მე-66 ვერსზე აგებას.

თუ ეს ასეა და წინააღმდეგის დამტკიცება შეუძლებელია, მაშინ რატომ არ გაუწიეს ანგარიში ეწრის თემს, რატომ არ შეიძლება იზრუნოს იანეთმა და ჯიხაიშმა ეწრის და ახალ სოფლის გლეხების და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, თუ ამით არამც თუ არ აკლდება მათ რამე, არამედ უმჯობესდება იანეთლების და ჯიხაიშლების მდგომარეობაც.

ჯერ კიდევ არ არის გვიან. რაც კიდევ გასაკეთებელია, იმის შეათვლიც არ დასჭირდება მე-66 ვერსს.

დიდი საქმე არაა, სადგური მაინც და მაინც იქ ააშენო, სადაც შენ გინდა. ეს რომ ასე იყოს, გმირებათ ჩაითვლებოდენ რიონის, მუხიანის და კოპიტნარის ამშენებლები. სხვა განზრახვებს რომ ადგილი არ ჰქონოდა, ჩვენ გვექნებოდა ეხლა ქუთაისი გაცილებით უფრო აყვავებული და ლიანდაგი პირდაპირი (ქუთაისი—ჯიხაიში ეწერი სამტრედია), მაგრამ ეს იყო წინედ და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ეხლა.

ამით მე მინდა მივმართო იანეთს და ჯიხაიშს, კიდევ ერთხელ აწონდაწონონ ეს დიდი საკითხი, უმეზობლონ სხვებს, ჩაბან ისინიც საერთო მუშაობაში დიდი რაიონის საკეთილდღეოთ.

აქვე არ შეიძლება საყვედური არ ითქვას რკინის გზის სამმართველოსადმი. ტეხნიკური მოსაზრებებით, რომელნიც სავსებით მე-66 ვერსის მხარეზეა, მას შეეძლო უმტკივნეულოთ გადაეჭრა ეს საკითხი. ამას მოითხოვდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესები.

დღევანდელ პირობებში მაინც უნდა იქნეს საზოგადოებრივი ინტერესები კუთხურზე მაღლა დაყენებული.

ვ. კოპალეიშვილი.

ქ. გორი

6 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, გორის მაზრის ალმასკომის შენობაში შესდგა ალმასკომის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელზედაც განხილულ იქნა სხვა და სხვა საკითხები მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის პირობების გასაუმჯობესებლად.

დღიურ წესრიგის მთავარი საკითხი იყო გერმანიის მდგომარეობა. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ალმასკომის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ცხოვრებაშვილმა. მან აღნიშნა გერმანიის პროლეტარიატის მწვავე მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია 1914 წლიდან დაწყებულ იმპერიალისტურ ომით, შემდეგ 1918 წლის რევოლიუციით, რომელმა რევოლიუციამაც გერმანიის პროლეტარიატს არა უშველარა, რადგან ძალაუფლება ჩაიგდო ხელში ბურჟუაზიამ, სოციალ-დემოკრატიის დახმარებით. გერმანიის პროლეტარიატი შეუდგა ახალ ბრძოლას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. გადამწყვეტი ბრძოლის დღე დადგა არა მარტო გერმანიის ბურჟუაზიის, არამედ მთელ ევროპის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. გერმანიის პროლეტარიატი დღეს განიცდის მატერიალურ გაჭირვებას. თუ არ საბჭოთა ქვეყნების მუშათა კლასი, სხვა ვინ გაუწევს ძმურ დახმარებას გერმანიის პროლეტარიატს. ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ მათ. შემდეგ ყველამ ერთხმად დაადგინეს ერთი დღის ნამუშევარის გამოღება და ამოირჩიეს კომისია ხუთი პირისაგან, რომელსაც დაევალა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ გაემართა საღამო. ამორჩეულ იქნენ: ამხ. ცხოვრებაშილი, კოვშურიძე, შოშიაშვილი, კავსაძე და კორინთელი. კრება დაიხურა საღ. მოს 9 საათზედ.

კორ.-ინ.

ონტოფოს თემი (სენაკის მაზრა)

დღიდან გადატრიალებისა ამ თემს დაეტყო გაუმჯობესება. იქნა შეკეთებული გზები, ზოგან ახალი შარაგზაც გაჭრილი. უმთავრესი ის არის, რომ გაკეთებული იქნა ხიდი მდ. ნოღელზე, რომლის გაკეთების სურვილი იყო ნიკოლოზის დროსაც, მაგრამ მას არ აღმოუჩნდა ვინმე ინიციატორი, რომ ეკისრა ეს საქმე.

ასე იყო მენშევიკების დროსაც. საბჭოთა ხელისუფლების დროს ამას გამოეკომაგა თემის რევკომი, რომლის ინიციატორობით და თვით ხალხის დახმარებით გაკეთებულ იქნა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის გლეხ-კაცობისათვის და მეზობელ თემებისათვის; აგრეთვე ონტოფოში დაარსებულ იქნა ყოველ ხუთშაბათობით ბაზრობ, რისთვისაც გაკეთებულ იქნა საჭირო კარავები. ამ ჟამად დასრულდება ალმასკომის შენობის გაკეთება, რომელიც იქნება 6—7 თვალი, სადაც მოთავსდება კ. პ. ონტოფოს რაიკომი, თემკომი და ალმასკომი. აგრეთვე ონტოფოს თემში გადაკეთებული იქნა ორი ეკლესია სახალხო სახლად.

ონტოფოს თემში კულტურული მუშაობა მოიკოჭლებს. აქ არსებობს დრამატიული წრე, მაგრამ არაფერს არ აკეთებს. ხშირად იყო შემთხვევა, რომ სცენის მოყვარე გამოდის სცენაზე სათამაშოდ და არ იცის როლი, რაც აუდიტორიას უკარგავს სიმპატიას თეატრისადმი. ეს ნაკლი უნდა გამოასწოროს ონტოფოს დრამატიულმა წრემ. ონტოფოში ერთხანს დაარსებული იქნა ქალთა წრე, მაგრამ მას არავინ არ გაუწია ხელმძღვანელობა და დაიშალა. აქაური ქალები მონდომებული არიან იმუშაონ წრეში, მაგრამ ამას ხელს უშლის უხელმძღვანელობა. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს სენაკის ქალთა სამაზრო განყოფილებამ.

ონტოფოს თემში არსებობს ნომინალურად ორი სამკითხველო, სინამდვილეში არც ერთი. ვინაიდან მასში არ მოიპოვება გაზეთები, მას არ უწევს სამკ. გამგე მზრუნველობას.

ჩვენში სამკითხველოები რომ დადგეს თავის დონეზე, ამისათვის საჭიროა, რომ სამკ. გამგეთ დაინიშნოს პოლიტიკურად რამოდენიმეთ მაინც მომზადებული გამგე, ის იმავე დროს უნდა იყოს გაზეთების წამკითხველი და ამხსნელი.

სამკითხველოს მატერიალური დახმარების მიზნით უნდა იქნეს დაარსებული საინიციატივო წრე, რომელიც მოაწყობს წარმოდგენებს და საღამოებს სამკითხველოს სასარგებლოდ.

გრ. ნადარეიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ. „კომუნისტ"-ს 233 №-ში მოთავსებულია ამხ. „ლიმაშის" წერილი გასილავების შესახებ ამხ. „ლიმაშ", თქვენ არა გაქვთ გასილავების ოჯახის ლანძღვისათვის, რომელმაც გაატარა ამიერ-კავკასიის საბაჟო დაწესებულებებში გაწმენდა, სრულებით არავითარი საფუძველი. მე ვიცი იმ წყაროს სათავე, საიდანაც ლიმაში იღებს სულ ახალ-ახალ ცნობებს ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოს შესახებ. საჭიროა დავარწმუნო ამხ. „ლიმაშ", რომ ეს წყარო მდარეა და თანაც ისეთი პიროვნებისაგან გამომდინარეობს, რომელიც საბაჟოს თანამშრომელთა რიცხვიდან გაწმენდილია. ამხ. ლიმაშს, როგორც კომუნისტს, სრულებით არ ეკადრება მასთან კავშირის დაჭერა და მისგან „სწორი და უტყუარი ცნობების" მიღება. აშკარაა, რომ ამგვარი ტიპი ეცდება მთელი თავისი ძალებით სახელი გაუტეხოს იმ პირთ, რომელთა წყალობით ის გაიწმინდა საბაჟო უწყებიდან. მაინც განუმარტავ ამხ. ლიმაშს, რატომ სწორედ გასილავების ოჯახს ჩაუვარდა ხელში „რაღაცა მანქანებით", როგორც ის სწერს, ამიერ-კავკასიის საბაჟო დაწესებულებების გაწმენდის საქმე. საბაჟო დაწესებულებების შტატების არა სასურველ და მავნე პირებისაგან გამწმენდ კამპანიის გატარებისას, სარაიონო კომისიის ორგანიზაციის პრინციპათ მიღებული იყო შემდეგი:

თავმჯდომარეობს კომისიაში საბაჟოს თანამშრომელი, მაგრამ აუცილებლად კომპარტიის წევრი, კომისიის წევრებს შეადგენენ წარმომადგენლები საგანგებო კომისიის, პარტიულ კომიტეტისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საბჭოთა თანამშრომლების პროფკავშირისა. იმ დროს საბაჟო უწყებაში კომუნისტების რიცხვი მეტად მცირე იყო. ამიტომ ყველა კომუნისტები, რომლებიც კი მუშაობდენ საბაჟოებში, გამოიწვიეს ტფილისში და გაგზავნეს ამიერ-კავკასიის ამა თუ იმ რაიონში გაწმენდის გასატარებლად. ამ მცირერიცხოვან კომუნისტების ჯგუფში, რომელნიც იმ დროს მუშაობდენ საბაჟოებში და რომელნიც გამოძახებულნი იყვნენ ცენტრალურ კომისიაში ამა თუ იმ რაიონში გასაგზავნათ, ვიყავი მეც; მე დამავალეს ფოთის რაიონის საბაჟოების გაწმენდის გატარება, ე. ი. ფოთის, ანაკლიის და ოჩემჩირეს საბაჟოების და არა ბათომ ფოთი-ახალციხე-ახალქალაქის რაიონისა, როგორც ამას ამბობს ამხ „ლიმაშ". დასასრულ ვთხოვ ამხ ლიმაშს, თუ მას აქვს რაიმე „მასალები" გასილავების ოჯახის მახინაციების შესახებ, გადასცეს იგი საქართველოს კომუნისტურ პარტიის საკონტროლო კომისიას, სადაც ჩვენ გამოვარკვევთ, რამდენად აღმოჩნდება მართალი ამხ. ლიმაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი

ევგენი გასილავა.

მადლობის გამოცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

მადლობა მარნის ხე-ტყის ქარხნის მუშებს, რომლებმაც კუპინელებისამებრ გადასაცემათ ს. კ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტში შემოიტანეს რვაასი მილიონი (800 მილ.) მანეთი ჰაეროპლან „ბოლშევიკი"-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

მ. ბედია.

მოქალაქეობის მოვალეობანი და უფლებანი

დებულება

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

(დასასრული)

15. ყოველგვარი კერძო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებისა და ამხანაგობის ადმინისტრაცია და აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა და შერეულ საზოგადოებათა ადმინისტრაცია წარადგენს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო განყოფილებაში,—ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებში,—ამხნაგობისა და მმართველობის ან საბჭოს წევრთა სიას და პაისა და ანაბარის მქონებელთა სიას მათი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით.

16. სახელმწიფო, კომუნალური, პროფესიონალური და სხვა დაწესებულება და საწარმო და აგრეთვე სააქციო საზოგადოება და კომპანია, საკრედიტო დაწესებულება, ამხანაგობა, კოოპერატივი, კოოპეოატივთა შენაერთი და მეპატრონე ან მოიჯარადრე ცალკერძო საწარმოსი—ვალდებულია, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებში, წარუდგინოს ფინანსთა ინსპექტორს ან ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო განყოფილებას, უკეთუ ქალაქში არის რამდენიმე საფინანსო რაიონი, სია იმ პირთა, რომელნიც ღებულობენ მათგან რაიმე გასამრჯელოს ამ პირთა შედგენილობის მიხედვით, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებში. დასახელებულ სიებში აღნიშნულ უნდა იქნეს: ამ პირთა სახელი, მამის სახელი და გვარი, მათ მიერ საშენაწერო ნახევარ წლის წინა ხანში მიღებული ჯამაგირისა და სხვა გასამრჯელოს რაოდენობა, მათი სამსახურებრივი მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილი.

17. თვითეული გადამხდელი, რომელმაც წინა ნახევარ წელიწადში ყველა წყაროდან მიიღო ისეთი შემოსავალი, რაც აღემატება დაწესებულ გადასახად დაუდებელ მინიმუმს ვალდებულია, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განზრახულ ვადებში, წარადგინოს დეკლარაცია,—ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის მიერ დაწესებული ფორმით,—თავისი შემოსავლის შესახებ რაიონულ საგადასახადო კომისიაში.

18. საშემოსავლო გადასახადის გამოსაანგარიშებლად თვითეულ საგადასახადო რაიონში, ფინანსთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით მოეწყობა საშემოსავლო კომისია, რომელშიც შევლენ: ერთი წარმომადგენელი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა, ორი წევრი, რომელთაც, ფინანსთა ინსპექტორის წარდგენით დანიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი გადამხდელთაგან და ერთი წარმომადგენელი პროფ. კავშირთა საბჭოსი ან სამაზრო პროფესიონალურ ბიუროსი.

19. შესრულება საშემოსავლო სარაიონო საგადასახადო კომისიის დადგენილებისა, რომელსაც თავმჯდომარე არ ეთანხმება შეჩერებულ უნდა იქნეს და სამი დღის განმავლობაში საქმე გადაეცემა გახკარგულებისათვის რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიას, რომელიც ვალდებულია იმავე ვადაში განიხილოს პროტესტი და დაადგინოს გადაწყვეტილება.

20. გადასახადის გამოსაანგარიშებლად იურიდიულ პირთათვის ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის საგადასახადო განყოფილებასთან მოეწყობა საშემოსავლო გადასახადის განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შევლენ: საგადასახადო განყოფილების მმართველი (თავმჯდომარე) გამგე პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილებისა და სათანადო განყოფილებისა, თითო წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან და პროფ. კავშირთა საბჭოსაგან, ორი წარმომადგენელი გადამხდელთაგან და აგრეთვე ფინანსთა ინსპექტორი ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის დანიშვნით.

21. გადასახადის გამოანგარიშების დროს საშემოსავლო საგადასახადო კომისია ხელმძღვანელობს გასულ ნახევარ წლისათვის მიღებულ გადამხდელთა დეკლარაციას შემოსავლის შესახებ.

22. დეკლარაციის დამატებათ გადამხდელი ვალდებულია საშემოსავლო საგადასახადო კომისიის მოთხოვნით წარადგინოს სიტყვიერი ან წერილობითი ახსნა-განმარტება და დოკუმენტალური ცნობები (შემოსავალ-გასავლის დავთარი, კონტორის დავთარი და სხვა). გარდა ამ ცნობებისა, კომისია ხელმძღვანელობს მის განკარგულებაში არსებული ცნობებით გადამხდელთა შემოსავლის შესახებ.

23. მე—18 და მე-20 მუხლში აღნიშნული საშემოსავლო, სარაიონო საგადასახადო და განსაკუთრებული კომისიების დადგენილების გამო გადამხდელს შეუძლიან შეიტანოს საჩივარი რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიაში; უკანასკნელს თავმჯდომარეობს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებული ან მის მიერ საამისოდ რწმუნებული პირი. ხოლო წევრებად არიან: პირდაპირ გადასახადთა ქვეგანყოფილების გამგე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი და ერთი წარმომადგენელი გადამხდელთაგან. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

24. თავმჯდომარე და წევრები სარაიონო საშემოსავლო საგადასახადო კომისიისა, მცოდნე პირი და ყოველი მონაწილე საგადასახადო საქმის წარმოებისა, რომელიც გაახმაურებს იმ ცნობათ, რაც შეეხება გადამხდელის ქონებრივ მდგომარეობას, სავალო ვალდებულებას, მოგებასა და შემოსავალს—მიიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საერთო სასამართლო წესისამებრ.

25. სიების წარუდგენლობისათვის, ისე, როგორც მათი თავის დროზე ჩაუბარებლობისათვის და მათში არა სწორი ცნობების აღნიშვნისათვის სახლის მეპატრონე ან სახლის მმართველობა დაჯარიმებულ იქნება არა უმეტეს 30 ჩერვონეცის მან. ასეთსავე პასუხს აგებენ იმავე დანაშაულობისათვის მთავრობის დაწესებულებათა თანამდებობის პირნი და კოოპერატიული ორგანიზაციებისა, კერძო საზოგადოებათა, კომპანიებისა, ამხანაგობათა და საკრედიტო დაწესებულებათა რწმუნებულნი, რომელთაც დაკისრებული აქვთ ჩამოთვლილ ორგანიზაციათა სახელით. წარუდგინონ ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ საგადასახადო განყოფილებას და ფინანსთა ინსპექტორს სხვადასხვა ცნობები და სიები.

26. გადამხდელს, რომელიც ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადაზე არ წარადგენს დეკლარაციას (მუხ. 17), ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო განყოფილების დადგენილებით დაედება ფულადი გარდასახდელი 20 ჩერვონეცის მანეთის რაოდენობით. გადამხდელს, რომელიც სრულიად არ წარადგენს დეკლარაციას დაედება ფულადი გარდასახდელი არა უმეტეს ამა მუხლში აღნიშნული გარდასახდელის ორკეცი რაოდენობისა.

27. გადამხდელს, რომელიც არ წარადგენს ყველა საჭირო ცნობას (მუხ. 22, ამიერ კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო განყოფილების დადგენილებით, ფინანსთა ინსპექტორისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე—დაედება ფულადი გარდასახდელი 30 ჩერვონეცის მანეთამდე.

28. საშემოსავლო გადასახადის დაწესებულებისათვის წარსადგენ დეკლარაციაში ან განმარტებაში წინასწარი შეცნობით არა სწორი ცნობების ჩვენებისათვის, გადასახადისაგან თავის განრიდების მიზნით და აგრეთვე იმავე მიზნით შემოსავლის წყაროს დამალვისათვის—დამნაშავეს, გარდა იმისა, რომ დაეკისრება სათანადო რაოდენობის თანხის შეტანა გადასახადის შესავსებად,—დაედება გარდასახდელი, რაც არ უნდა აღემატოს მის მიერ დამალული თანხის ხუთჯერ გამრავლებულ რაოდენობას.

29. 25—28 მუხლში აღნიშნულ გარდასახდელს დაადებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგადასახადო განყოფილება იმ ცნობების მიხედვით, რასაც წარადგენს სათანადო ფინანსთა ინსპექტორი. საგადასახადო განყოფილების დადგენილება უნდა გამოეცხადოს დამნაშავეს, რომელსაც გარდასახდელი დაედება და უნდა მიეცეს ერთი კვირის ვადა მისაგებელის წარსადგენად. უკეთუ მისაგებელი შეტანილ იქნება, საქმე გადაეცემა სათანადო სასამართლო დაწესებულებას შემდგომი წარმოებისათვის იმ წესით, რაც დადგენილია ხაზინის ქონებისა და შემოსავლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულისა და საზიანო მოქმედების საქმეთათვის, უკეთუ აღნიშნულ ვადაზე მისაგებელი შეტანილ არ იქნება გარდასახდელი გადახდევინებულ უნდა იქნეს უდავო წესით.

30. გადამხდელი, რომელიც გადასახადის გამოანგარიშების დროს გამოტოვებულ იქნება, ან ახალ გარემოებათა მიხედვით გამოირკვევა, რომ იგი შეცდომით იქნა ცნობილი გადასახადის არ გადამხდელ პირად —დაიბეგრება ხელახლად მთელი გამოტოვებული დროისათვის, ხოლო არა უმეტეს იმ სამი წლისათვის, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს შეცდომის გამოაშკარავების წელიწადს.

31. შემდგომი ინსტრუქციების შემუშავება და ცირკულიარული ინსტრუქტორობის გაწევა ადგილობრივი ორგანოებისათვის—დაეკისრება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
გ. სტურუა.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. [illegible]

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი [illegible]

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4 რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის ალმასკომის შენობაში (ყოფ. ქალაქის გამგეობის დარბაზი) შესდგება **ქალთა დელეგატების კრება.**

ქალთა ორგანიზატორებთან ერთად დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.
ქალთა განყოფილების გამგე პენიაკოვა.

— საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სთვლის გაუქმებულათ დროებით პარტბილეთს, № 3904, დაკარგულს დავით კაპლიანის მიერ.

ცეკას საღ. სასტ. ქ | განყ. გამგე (ხელისმოწერა)

— 2-ე რაიკომი წინადადებას აძლევს ყველა იმ კომუნისტებს, რომელნიც მუშაობენ 2-ე რაიონის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო სახლებსა, და სკოლებში გამოცხადდენ რეგისტრაციაზე 16 ოქტომბერს; დილის 9 საათ.—დღის 3 საათამდე ს. ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომში (პლეხანოვის პრ. 96).

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

გურიის სამაზრო მეხუთე კონფერენცია.

— 19 ოქტომბერს მოწვეულია გურიის სამაზრო მეხუთე პარტკონფერენცია.

დღის წესრიგი;

1. საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა 2) მაზკომის და სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3) ანტირელიგიური პროპაგანდა და ჩვენი მომავალი ტაქტიკა საეკლესიო საკითხში, 4) ანტი-საბჭოთა პარტიების გახრწნა. 5) მაზრის ადმინისტრატიულად დაყოფა რაიონებად და საბჭოთა არჩევნები. 6) მაზკომის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 7) მიმდინარე საკითხები. კონფერენცია გაიხსნება 19 ოქტომბერს პარასკევს, დილის ცხრა საათზე.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომი იტყობინება, რომ 14 ოქტომბერს აღარ გაიმართება სტუდენტების და მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა საზოგადო კრება. კრება გადადებულია შემდეგ კვირისათვის 21 ოქტომბრისათვის.

იაჩეიკის მდივანი და სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის საბჭო.

განცხადებები

სახელმწიფო აკადემიური ოპერა
დღეს, 16 ოქტომბერს, 1923 წ.
თქმულება შოთა რუსთაველზე
დასაწყისი ზუსტ 8 საათზე.
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
კასა ღიაა 11—3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის დამთავრებამდე.
ადმინისტრატორი: **პუშკოვი.**
(კრ. 671—1—1) სამხატვრო ნაწილის გამგე **იგ. ფალიაშვილი.**

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს. ტყავეულობის
მთავარი
სამმართველო
ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მაღაზიასთან
№ 5, სადგურის ქუჩაზე,
გაიხსნა წვრილად სავაჭრო
განყოფილება,
სადაც იყიდება ტყავეულობისა და ქეჩის ფეხსაცმელები სხვადასხვა ხარისხის, და აგრეთვე ტყავისა და ქეჩის ტანთსაცმელი და ღვედებისა და საგალანტერეიო ნაწარმოებები.
(კრა 670—3—1)

რაჭის სამაზრო აღმასკომი იწვევს
ქალ. ონის ტეხნიკუმისა და 9 წლ. შრომის სკოლისათვის სამ
მასწავლებელს:
ფიზიკო-მატემატიკის, ბუნებისმეტყველს და ისტორიკო-ფილოლოგს.
მიწვეულ მასწავლებლებს მიეცემათ ჯამაგირი 100 პროც. გადიდებული და აგრეთვე ბინა გათბობა-განათებით.
მსურველებმა უნდა მიმართონ განცხადებით განათლების კომისარიატის პროფ-განათლების მთავარმმართველობას 18 ოქტომბრამდე.
41—1—1)

საქართველოს საბჭ. ს. ს. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის
მთავარი საკურორტო
სამმართველო
იწვევს იმ პირთ, რომელთაც სურთ მიაწოდონ სანატორიუმებს
ხორცი და სხვა სურსათ-სანოვაგე
ზამთრის სეზონში
განცხადებების შეტანის ვადა—25 ოქტომბერი. მიწოდების პირობების შესახებ ცნობების მიღება ყოველ დღე მთავარ საკურორტო სამმართველოს კანცელიარიაში. საპიორის ქუჩა 30.
(კრ. 669—1—1)

ქ. ტფილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე
იწვევს სახალხო სასამართლოში მემკვიდრეებს უფლების წარსადგენათ გარდაცვალებულ თამარა (იგივე თალიკო) ივანეს ასულ მუსიევისას ქონებაზე. 13 ოქტომბერს 1923 წელს.
(42—1—1) სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა)

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბიდან ალექსანდრე სიმონის ძე ელიაძის სახელობაზე № 127. ამასთანავე დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი მოცემული მე-2 რაიონის სამხედრო აღრიცხვის განყოფილებიდან ალექსანდრე სიმონის ძე ელიაძის სახელზე № 50. გთხოვთ ჩაითვალის გაუქმებულათ. (1—1)

დავკარგე პასპორტი მუსიება აბაზოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (39—1—1)

დავკარგე სარეგისტრაციო წიგნაკი მუსეიბა აბაზოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. (40—1—1)

დავკარგე მეტყველების კავშირის საწევრო წიგნაკი აკოპ ბაზოიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (43—1—1)

დავკარგე პირადობის მოწმობა გიორგი ქერელაევის ქალი თამარა დარჩიას სახელზე. ჩაითვალის გაუქმებულათ. (44—1—1)

დავკარგე პასპორტი № 2559 ფედოსი გავრიილოვას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. (45—1—1)

დავკარგე პირადობის მოწმობა № 196. ტიტიკო სილევანის ძე თალაკვაძის სახელზე. მიღებული ოზურგეთის მაზრის მილიციის სამმართველოდან. ჩაითვალის გაუქმებულად. (87 2—1)

სტამბა „ზარია ვოსტოკას" როზენშტეინის ქ. № 4.